პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 ნოემბერი ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 265 (14261)

ვაშლის კრეფა გორის რაიონის ქიწნისის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო რ. ბასილაშვილისა.

## საქართველოს მეხილეთა სახელოვანი საჩუქარი

### სახელმწიფოს მიეყიდა 124.376 ტონა ხილი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 118.000 ტონისა

საქართველოს ბაღებში ხილის უხვი მოსავალი მოიყვანეს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ორგანიზებულად კრეფენ ხილს და ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის გეგმა. 11 ნოემბრისათვის დამამზადებელ პუნქტებში, გადასამუშავებელ საწარმოებში მიზიდულია და ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელებს გაეგზავნათ 124.376 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 118.000 ტონისა.

მეხილეებმა წარმატებას მიაღწიეს ღირსშესანიშნავი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში. ნარგავების საგულდაგულოდ მოვლის უზრუნველსაყოფად, ხილის ორგანიზებული კრეფისა და დამზადების საქმეში დიდი მუშაობა გასწიეს მეხილეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა.

გორის რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 22.778 ტონა ხილი წლიური გეგმით გათვალისწინებული 21.405 ტონის ნაცვლად, ქარელის რაიონმა — 9.425 ტონა, გეგმაზე 2.375 ტონით მეტი, კასპის რაიონმა — 4.994 ტონა, გეგმაზე 2.244 ტონით მეტი, ხაშურის რაიონმა — 2.606 ტონა, გეგმაზე 1.046 ტონით მეტი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 7.530 ტონა ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.570 ტონისა.

ხილის კრეფა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება გრძელდება. (საქდესი).

**ხუთწლედი — ვადამდე!**

## პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეხუთე ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი კომუნისტების მრავალმილიონიანი რაზმისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ და ძმურად მოგესალმებათ თქვენ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით პარტიის ყველა წევრსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს.

თქვენი ყრილობა შეიკრიბა პოლონელ კომუნისტთა ცხოვრებაში დიდი მოვლენის — პოლონეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დაარსების 20 წლისთავის წინ. ამ სახელოვან წლისთავებს თქვენი პარტია შეეგება როგორც ბრძოლის ქარცეცხლში გამოწრთობილი, პოლონელი ხალხის შეკავშირებული მარქსისტულ-ლენინური ავანგარდი, პოლონელი ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, როგორც მასობრივი პარტია, რომელიც აერთიანებს კომუნიზმისათვის ორ მილიონ მებრძოლს.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია იცავს პოლონეთის რევოლუციური მოძრაობის საუკეთესო ტრადიციებს, ეყრდნობა მუშათა კლასის უსაზღვრო ნდობასა და მხარდაჭერას და უდიდეს მუშაობას ეწევა ხალხის შეგნებაში ინტერნაციონალიზმის, თავიანთი სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების კეთილშობილური იდეების დამკვიდრებისათვის.

საბჭოთა ხალხს, სოციალისტური პოლონეთის ყველა მეგობარს გულწრფელად ახარებს პოლონელი ხალხის წარმატებანი, რომელიც შთაგონებით ახორციელებს პარტიის მიერ დასახულ სოციალისტური მშენებლობის გენერალურ ხაზს. ქვეყნის ეკონომიკის განუწყვეტელი აღმავლობა, დიდი მიღწევები მეცნიერებისა და კულტურის დარგში, მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ზრდა — ყოველივე ეს მოწმობს არა მარტო პოლონეთის სახელმწიფოს განვითარებასა და აყვავებას, არამედ აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილია მთელი სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში, ნათლად ადასტურებს სოციალიზმის — კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი წყობილების უდიდეს უპირატესობას.

თქვენი ყრილობის მუშაობა მიმდინარეობს პერიოდში, რომელსაც ახასიათებს რთული საერთაშორისო ვითარება. იმპერიალისტური ძალები აღვივებენ დაძაბულობას სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში და ცდილობენ ხელი შეუშალონ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მშვიდობიან შრომას. იზრდება დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის რევანშისტული მისწრაფებანი, გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების ბარბაროსული ომი ვიეტნამში, ლიკვიდირებული არ არის ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტური აგრესიის შედეგები. საერთაშორისო რეაქცია ყოველნაირად ცდილობს ძირი გამოუთხაროს სოციალისტურ თანამეგობრობას, დანერგოს უნდობლობა სოციალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ეს კეთდება იმისათვის, რომ შეასუსტონ სოციალიზმის ზემოქმედება თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე, შეაფერხონ მსოფლიო რევოლუციური პროცესი, მსოფლიოს ხალხთა ყურადღება ჩამოაშორონ ღრმა სოციალურ კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს, რომლებიც აზანზარებენ კაპიტალიზმს.

ამ პირობებში მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცება დროის მოთხოვნაა, სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, ყველა იმათი ინტერნაციონალური მოვალეობაა, რომელთა სიცოცხლის მიზანია სოციალიზმისათვის ბრძოლა. უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ სოციალისტური სახელმწიფოებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა მოძმე პარტიებთან ერთად იყო და არის პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, რომელიც მტკიცედ დგას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო ახალ დიდ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, პოლონელი ხალხის მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფაში.

გაუმარჯოს პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას — სახალხო პოლონეთის მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს!

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობა!

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობასა და შეკავშირებას!

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობა

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ყრილობის დელეგატებო!

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით, ცამეტმილიონნახევარი საბჭოთა კომუნისტის სახელით ჩვენი დელეგაცია ღრმა კმაყოფილებით მხურვალე, ძმურ სალამს უძღვნის პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობას, ყველა პოლონელ კომუნისტს! ვუსურვებ თქვენს ყრილობას წარმატებით და ნაყოფიერ მუშაობას.

ჩვენ, თქვენს მეგობრებსა და ამხანაგებს, სულითა და გულით გვიხარია, რომ თავის მეხუთე ყრილობას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია შეხვდა კარგი შედეგებით სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. სახალხო პოლონეთის თვალსაჩინო წარმატებანი შედეგია პოლონეთის მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის დიდი და თავდადებული შრომისა, შედეგია იმ უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობისა, რომელსაც ეწევიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი პოლონეთის მუშათა კლასის სახელოვანი შვილის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ამხანაგ ვლადისლავ გომულკას მეთაურობით.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის გამოცდილება, მისი საქმიანობა როგორც შიგ პოლონეთში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე არსებითი წვლილია კომუნისტთა ინტერნაციონალურ გამოცდილებაში. ამიტომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და ყრილობის მასალები დიდ ინტერესს წარმოადგენს ყველა ჩვენგანისათვის.

სოციალიზმის ბევრი ქვეყანა ახლა წყვეტს თავისი შემდგომი განვითარების ანალოგიურ ამოცანებს. ერთმანეთის გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენება, თანამშრომლობა, ურთიერთმხარდაჭერა, გადამწყვეტ უბნებზე ღონისძიებათა გაერთიანება ხელს უწყობს მოძმე პარტიებსა და ქვეყნებს უფრო სწრაფად იარონ წინ ჩვენი დიადი მიზნისაკენ.

ჩვენ, ამხანაგებო, რთულ, მღელვარე და საინტერესო დროს ვცხოვრობთ. შეუკავებლად ვითარდება მსოფლიო რევოლუციური პროცესი, რომლის ცენტრშია ჩვენი საუკუნის ორი ძირითადი საზოგადოებრივი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ბრძოლა.

ამ მსოფლიო ბრძოლაში ჩვენ უკვე ბევრ რამეს მივაღწიეთ. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა წარმოიშვა, დამკვიდრდა და დაიცვა არსებობის უფლება. ვითარდება სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა, მტკიცდება მათი თავდაცვა, სრულყოფილი ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობა, უმჯობესდება მშრომელთა ცხოვრება. ამავე დროს ღრმავდება თანამშრომლობა სოციალიზმის ქვეყნებს შორის, მტკიცდება ჩვენი კავშირი მთელი მსოფლიოს რევოლუციურ ძალებთან. ძალთა თანაფარდობა მსოფლიო მასშტაბით კვლავაც იცვლება სოციალიზმისა და მისი მოკავშირეების სასარგებლოდ.

ახლა სოციალისტური ბანაკის ძლიერება ისეთია, რომ იმპერიალისტებს ეშინიათ სამხედრო განადგურებისა სოციალიზმის ძირითად ძალებთან პირდაპირი შეტაკების შემთხვევაში. რა თქმა უნდა, სანამ იმპერიალიზმი არსებობს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არ ვითვალისწინებდეთ ომის საფრთხეს, რომელსაც ქმნის იმპერიალისტური პოლიტიკა. მაგრამ ფაქტია, რომ ახალ პირობებში იმპერიალისტები სულ უფრო ხშირად იყენებენ სხვა, უფრო ვერაგულ ტაქტიკასაც. ისინი ეძებენ სუსტ რგოლებს სოციალისტურ ფრონტში, ახორციელებენ სოციალიზმის ქვეყნებში ძირგამომთხრელი იდეოლოგიური მუშაობის კურსს, ცდილობენ ზემოქმედება მოახდინონ ამ ქვეყნების ეკონომიურ განვითარებაზე, ცდილობენ შუღლი და განხეთქილება შეიტანონ მათ შორის, წააქეზონ და გააღვივონ ნაციონალისტური გრძნობები და ტენდენციები, ესწრაფვიან ცალკეულ სოციალისტურ სახელმწიფოთა იზოლაციას, რათა შემდეგ სათითაოდ ყელში სწვდნენ მათ. ერთი სიტყვით, იმპერიალიზმი ცდილობს ძირი გამოუთხაროს სოციალიზმს, სწორედ როგორც მსოფლიო სისტემის, სიმტკიცეს.

სოციალისტური ქვეყნების განვითარებისა და ბრძოლის გამოცდილება ამ ახალ პირობებში უკანასკნელი წლების მანძილზე, მათ შორის სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი ძალების ამასწინანდელი აქტივიზაციაც ჩეხოსლოვაკიაში, ახალი ძალით მოაგონებს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ წუთსაც არ ვივიწყებდეთ ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს, დროით შემოწმებულ ჭეშმარიტებას.

თუ არ გვინდა შევანელოთ ჩვენი მოძრაობა სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გზით, თუ არ გვინდა შევასუსტოთ ჩვენი საერთო პოზიციები იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყოველთვის და ყველგან უნდა გვახსოვდეს, ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყოველი საკითხის გადაწყვეტისას ერთგულად და ურღვევად ვიცავდეთ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, ვიჩენდეთ მკაფიო კლასობრივ, პარტიულ მიდგომას ყველა საზოგადოებრივი მოვლენისადმი, საკადრის პასუხს ვაძლევდეთ იმპერიალიზმს იდეურ ფრონტზე, არაფერს არ ვუთმობდეთ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას.

(დასასრული მე-2 გვ.)

## პოლონელ კომუნისტთა ყრილობა

ვარშავა, 12 ნოემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ვ. კუზნეცოვი და გ. ვლასოვი გვატყობინებენ: გუშინ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობის საღამოს სხდომაზე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. გომულკას მოხსენების შემდეგ სიტყვა მიეცა გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩესლავ ვიცეხს.

შემდეგ გამოვიდა დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იან კაროლ ვენდე.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ადამ დოლინსკიმ.

კამათში პირველი გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის კატოვიცის სავოევოდო კომიტეტის პირველი მდივანი ედვარდ გერეკი.

12 ნოემბერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობის მუშაობის მეორე დღეს მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

დარბაზში დიდხანს არ შეწყდარა ტაში, როცა თავმჯდომარემ ყრილობის დილის სხდომაზე, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. კლიშკომ სიტყვა მისცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. დელეგატები და სტუმრები ფეხზე ამდგარნი მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა კომუნისტების დელეგაციის ხელმძღვანელს. კულტურისა და მეცნიერების სასახლის კონგრესების დარბაზში გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის სადიდებლად.

თავისი სიტყვის დასასრულს ლ. ი. ბრეჟნევმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. გომულკას გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სალამი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობისადმი. ვ. გომულკამ გულითადი მადლობა გადაუხადა ლ. ი. ბრეჟნევს.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი კვლავ მივიდა მიკროფონთან და თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი პარტიების მეგობრობისა და ძმობის ნიშნად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენს დელეგაციას დაავალა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობას გადასცეს გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკის ვერა მუხინას ნაწარმოები, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევ კავშირს, რომელთა ხელით იქმნება კაცობრიობის მშვენიერი მომავალი — კომუნიზმი.

სკკპ დელეგაციის მეთაურის სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ. თავმჯდომარემ ზ. კლიშკომ გულითადი მადლობა გადაუხადა ლ. ი. ბრეჟნევს საჩუქრისათვის და სთხოვა საბჭოთა ხალხს გადასცეს კომუნიზმის მშენებლობაში წარმატებათა საუკეთესო სურვილები. კულტურისა და მეცნიერების სასახლის კონგრესების დარბაზში კვლავ გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. დელეგატები ფეხზე ამდგარნი მიესალმნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს.

## ყოველთვის საგუშაგოზე

11 ნოემბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა საბჭოთა მილიციის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები გულთბილად მიესალმნენ მილიციის სამსახურის ვეტერანებს, წესრიგის საუკეთესო გუშაგებსა და მათს მოხალისე თანაშემწეებს — სახალხო რაზმელებს.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. კონოტოპმა.

იმ სახელოვანი გზის შესახებ, რომელიც განვლო ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილმა საბჭოთა მილიციამ, მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ნ. ა. შჩოლოკოვმა.

მილიციის მუშაკებს გულითადად მიულოცა დღესასწაული სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა გ. ტ. ბერეგოვოიმ.

შეკრებილებმა ერთსულოვნად მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი მისასალმებელი წერილის ტექსტი. (საკდესის კორ.).

## განიხილავენ ამიერკავკასიის მოსახლეობის პრობლემებს

ერევანი, 11 ნოემბერი, (საკდესის კორ.). დღეს სომხეთის დედაქალაქში მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო კონფერენციამ ამიერკავკასიის მოსახლეობის პრობლემებზე. კონფერენციაში მონაწილეობს აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის, რუსეთის სფსრ, უკრაინის, უზბეკეთის, ლატვიის, ესტონეთისა და სხვა რესპუბლიკების 200-მდე სპეციალისტი.

მეცნიერები განიხილავენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ეკონომიური განვითარებისა და მოსახლეობის საკითხებს, აგრეთვე შრომითი რესურსების დაგეგმვისა და რაციონალური გამოყენების, სიცოცხლის ხანგრძლივობის დონის, მოსახლეობის განსახლებისა და მიგრაციის, ქალაქების განვითარებისა და ამ პროცესზე მოქმედი ფაქტორების პრობლემებს.

## ავღანეთის პრემიერ-მინისტრი სამშობლოში გაემგზავრა

მოსკოვი, 12 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი ნურ აჰმედ ეთემადი. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით იყო საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

# პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობა

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

სწორედ პრინციპულ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე მოპოვებულია უდიდესი წარმატებანი სოციალიზმის ქვეყნების სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, — წარმატებანი, რომელთა ბადალი ტემპებით, სიღრმითა და მასშტაბებით დღემდე არ ყოფილა ისტორიაში.

ბურჟუაზიის იდეოლოგები ცდილობენ სახელი გაუტეხონ სოციალიზმს, სპეკულაციურად იყენებენ სიძნელეებსა და შეცდომებს ამა თუ იმ სოციალისტური ქვეყნის განვითარებაში. რა შეიძლება ითქვას ამის გამო? დიახ, სოციალისტური ქვეყნების განვითარებაში სიძნელეები იყო, არის და ალბათ მომავალშიც იქნება. თვითეულ ეტაპს თავისი სიძნელე აქვს.

ზოგიერთი მათგანი ობიექტური ხასიათისაა, განპირობებულია ისტორიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორებით. ზოგიერთ მათგანს კი სუბიექტური ხასიათი აქვს, გამოწვეულია იმით, რომ ნაპოვნი როდი იყო განვითარების ამა თუ იმ პრობლემის ყველაზე კარგი გადაწყვეტა, ე. ი. დაშვებული იყო რაღაც შეცდომები, რომ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ მთლიანად გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რომლებსაც ობიექტურად შეიცავს სოციალისტური წყობილება.

საკითხი ის არის, როგორ მოვეკიდოთ სიძნელეებსა და დაშვებულ შეცდომებს.

როცა წვრილბურჟუაზიული ჯურის მოღვაწეები სიძნელეებს აწყდებიან, ისტერიკაში ვარდებიან და ყველაფერში ეჭვის მიტანას იწყებენ. რევიზიონისტები წარმოშობილ სიძნელეთა გამო მზად არიან ხაზი გადაუსვან ყველა მიღწევას, ხელი აიღონ მთელ მონაპოვრებზე, დათმონ ყველა პრინციპული პოზიცია.

ნამდვილი კომუნისტები კი გულდაჯერებით კვალავენ გზას წინ, ეძებენ წარმოშობილ პრობლემათა უკეთ გადაწყვეტის გზებს, ეყრდნობიან რა სოციალისტურ მონაპოვრებს, ისინი პატიოსნად აღიარებენ ამა თუ იმ საკითხში დაშვებულ შეცდომებს, ანალიზს უკეთებენ და ასწორებენ მათ, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალიზმის პოზიციები, რათა არ დაუთმონ, სოციალიზმის მტრებს, არ მისცენ თუნდაც იოტის ოდენა რამ იქიდან, რაც უკვე მოპოვებულია, იქიდან, რაც უკვე მიღწეულია ხალხის მასების მეცადინეობითა და ბრძოლით. ერთი სიტყვით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას: თუ პარტია მტკიცედ დგას კომუნისტურ პოზიციებზე, თუ იგი მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულია, — ყველა სიძნელე გადალახულ იქნება.

გამოცდილება მთელი დამაჯერებლობით გვიჩვენებს, თუ რა განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის იმას, რომ უზრუნველვყოთ და განუწყვეტლივ განვამტკიცოთ ხელმძღვანელი როლი კომუნისტური პარტიისა, როგორც ყველაზე მოწინავე, წამყვანი, მაორგანიზებელი და წარმმართველი ძალისა მთელ საზოგადოებრივ განვითარებაში სოციალიზმის დროს.

პარტია, რომელიც შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიით, გამოხატავს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ნებას, — გადამწყვეტი ძალაა სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ამასთან ეს არის იმისი ყველაზე საიმედო გარანტია, რომ სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში ყველაზე სრულად იქნება გათვალისწინებული და ჰარმონიულად შეხამებული ყველა იმ მშრომელი კლასისა და სოციალური ფენების ინტერესები, რომლებიც ამ საზოგადოებას ქმნიან.

ტყუილად როდია, რომ სოციალიზმის მტრები უპირველეს ყოვლისა ყოველთვის თავს ესხმიან სწორედ კომუნისტურ პარტიას. ტყუილად როდია, რომ ყველა ჯურის რევიზიონისტები — მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლები — ყოველთვის ცდილობენ მოადუნონ, შეასუსტონ პარტია, ძირი გამოუთხარონ მის ორგანიზაციულ საფუძველს — დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინურ პრინციპს, ქადაგებენ პარტიული დისციპლინის შესუსტებას. ტყუილად როდი ხმარობენ ისინი „თეორიებს", რომელთა თანახმად პარტია „უნდა ჩამოშორდეს" საზოგადოების განვითარებისადმი ხელმძღვანელობას ეკონომიკის, სახელმწიფო ცხოვრების, კულტურისა და სხვა დარგებში. ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, მეტად ხელსაყრელი იქნებოდა იმათთვის, ვინც ოცნებობს ყველა ამ დარგის განვითარება დააბრუნოს უკან — კაპიტალიზმისაკენ.

თანამედროვე პირობებში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტიის საქმიანობის ისეთ უმნიშვნელოვანეს მხარეს, როგორიც არის მისი იდეოლოგიური მუშაობა, სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხილება.

ყოველივე აქედან საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, — და დარწმუნებული ვართ, სხვა მოძმე ქვეყნების კომუნისტებსაც, — გამოაქვთ ნათელი დასკვნა: მთელი ძალღონით უნდა განვამტკიცებდეთ პარტიის ერთიანობასა და შეკავშირებას, ყოველი ღონისძიებით ვზრდიდეთ მის ხელმძღვანელ როლს საზოგადოების განვითარებაში, სრულვყოფდეთ მისი საქმიანობის ფორმებს.

ბრძოლის გამოცდილება და მსოფლიოში შექმნილი ვითარების რეალური გათვალისწინება მთელი სიცხადით მეტყველებს აგრეთვე იმაზე, რომ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტებისათვის საარსებოდ აუცილებელია მაღლა ატარებდნენ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშას, განუწყვეტლივ განამტკიცებდნენ სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებასა და სოლიდარობას. ეს არის თვითეულ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმატებით ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი პირობა.

თვითეული სოციალისტური ქვეყნის თავდაცვის ინტერესები, მისი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ინტერესები მოითხოვს მოძმე ქვეყნებს შორის უაღრესად ფართო თანამშრომლობას, მათ შორის მრავალმხრივი ურთიერთობის ყოველნაირად განვითარებას, ნამდვილ ინტერნაციონალიზმს.

ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერიალიზმი მთავარ იმედს ამყარებს სწორედ იმაზე, რომ გათიშოს სოციალისტური ქვეყნები, ვარაუდობს შეასუსტოს ჩვენი ერთიანობა. ჩვენი ქვეყნების სოლიდარობა აცამტვერებს მტრის ამ იმედებს. და ეს სოლიდარობა შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევს. ამის მაგალითია ვიეტნამი, რომლის მრავალი წლის გმირული ბრძოლა ყველაზე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ შეუძლებელი იქნებოდა, მას რომ აქტიურად და ქმედითად არ ეხმარებოდნენ სსრ კავშირი, პოლონეთი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. დიდი გამარჯვება, რომელიც ამას წინათ მოიპოვა ვიეტნამელმა ხალხმა, რომელმაც აიძულა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები შეეწყვიტათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის დაბომბვა და სხვა საომარი აქციები მის წინააღმდეგ. ამავე დროს, როგორც ამას თვით ვიეტნამელი მეგობრები აღნიშნავენ, სოციალისტური ბანაკისა და მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი გამარჯვებაა.

ჩვენი სოლიდარობის ძალას ცხადყოფს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითი. ყველასათვის ცხადია, რომ სოციალიზმის წარმატებით მშენებლობა იმ რთულ პირობებში, რომლებშიც ეს ქვეყანა იმყოფება, განუყრელად დაკავშირებულია სხვა სოციალისტური ქვეყნების აქტიურ მხარდაჭერასა და სოლიდარობასთან, ფართო ეკონომიურ თანამშრომლობასთან, ჩვენს სამხედრო კავშირთან. სოციალისტურ სოლიდარობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის მშენებლობისათვის სხვა ქვეყნებშიც.

სოციალისტური სახელმწიფოები ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის მტკიცე პატივისცემის მომხრენი არიან. ჩვენ გადაჭრით ვილაშქრებთ ყოველი სახელმწიფოს საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ, მათი სუვერენიტეტის დარღვევის წინააღმდეგ.

ამასთან ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დამკვიდრებასა და დაცვას, რომლებიც დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალები ცდილობენ ხან ერთი, ხან მეორე სოციალისტური ქვეყნის ხალხს წაართვან მოპოვებული სუვერენული უფლება უზრუნველყოს თავისი ქვეყნის აყვავება, მშრომელთა ფართო მასების კეთილდღეობა და ბედნიერება ისეთი საზოგადოების აშენების გზით, სადაც არ იქნება ჩაგვრა და ექსპლოატაცია. ხოლო როცა ამ უფლების ხელყოფა აწყდება ერთსულოვან წინააღმდეგობას სოციალისტური ბანაკის მხრივ, ბურჟუაზიული პროპაგანდისტები აურზაურს ტეხენ „სუვერენიტეტის დაცვისა" და „ჩაურევლობის" შესახებ. ცხადია, რომ მათ მხრივ ეს წმინდა წყლის სიცრუე და დემაგოგიაა. სინამდვილეში ამ მყვირალებს სოციალისტური სუვერენიტეტის შენარჩუნება კი არა, მისი მოსპობა სურთ.

კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირმა ბევრი რამ გააკეთა სოციალისტური ქვეყნების სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის რეალური განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის იყო იმის მომხრე, რომ თვითეული სოციალისტური ქვეყანა განსაზღვრავდეს სოციალიზმის გზით თავისი განვითარების კონკრეტულ ფორმებს თავისი ეროვნული პირობების სპეციფიკის სრული გათვალისწინებით. მაგრამ ცნობილია, ამხანაგებო, რომ არსებობენ სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებანიც, და ამ კანონზომიერებებისაგან გადახვევას შეიძლება მოჰყვეს თვით სოციალიზმისაგან გადახვევა. და როცა სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი შინაგანი და გარეშე ძალები ცდილობენ რომელიმე სოციალისტური ქვეყნის განვითარება წარმართონ კაპიტალისტური წესწყობილების რესტავრაციის გზით, როცა ამ ქვეყანაში საფრთხე ექმნება სოციალიზმის საქმეს, საფრთხე ექმნება მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროებას, ეს უკვე ხდება არა მარტო ამ ქვეყნის ხალხის პრობლემა, არამედ ყველა სოციალისტური ქვეყნის საერთო პრობლემაც, საერთო საზრუნავი.

რა თქმა უნდა, ისეთი აქცია, როგორიც არის მოძმე ქვეყნისადმი სამხედრო დახმარება სოციალისტური წყობილებისათვის შექმნილი საფრთხის ასაცილებლად, საგანგებო, იძულებითი ღონისძიებაა, იგი შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ სოციალიზმის შინაგანი და გარეშე მტრების პირდაპირი მოქმედებით, მოქმედებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სოციალიზმის ბანაკის საერთო ინტერესებს.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ დღევანდელ პირობებში სოციალისტური წყობილების გამარჯვება ამა თუ იმ ქვეყანაში შეგვიძლია საბოლოოდ მივიჩნიოთ, ხოლო კაპიტალიზმის რესტავრაცია შეიძლება გამორიცხულად მივიჩნიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტური პარტია, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი ძალა, მტკიცედ ახორციელებს მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებაში; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტია დაუცხრომლად განამტკიცებს ქვეყნის თავდაცვას, მისი რევოლუციური მონაპოვრების დაცვას, თუ თვითონაც ფხიზლად არის და ხალხსაც უნერგავს სიფხიზლეს კლასობრივი მტრის მიმართ, შეურიგებლობას ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წმიდად იცავს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპს, განამტკიცებს ერთიანობასა და ძმურ სოლიდარობას სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკა, რომელსაც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია ახორციელებს, პრინციპული, მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების კარგი მაგალითია.

ამხანაგებო! მსოფლიო იმპერიალიზმი, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და მათი მთავარი მოკავშირე ევროპაში — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები, განაგრძობს თავის აგრესიულ პოლიტიკას და ცოტა ღონისძიებებს როდი ახორციელებს „საერთაშორისო ატმოსფეროს გაუარესებისათვის.

იმპერიალისტები ქმნიან დაძაბულობის კერებს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, ესწრაფვიან მსოფლიოში კვლავ დააბრუნონ „ცივი ომის" ვითარება. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აშკარად აღვივებენ რევანშისტულ განწყობილებებს, რაც საფრთხეს უქმნის ევროპის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

ამ რეაქციული, აგრესიული პოლიტიკის ხაზს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები უპირისპირებენ თავიანთ მოქნილ და რეალისტურ, მაგრამ აგრესორებისა და რევანშისტების მიმართ შეურიგებელ პოლიტიკას. ეს პოლიტიკა გამსჭვალულია მთელი მსოფლიოს რევოლუციური ძალებისადმი, სოციალიზმისა და პროგრესის ძალებისადმი მტკიცე კლასობრივი მხარდაჭერის სულისკვეთებით. ამავე დროს ეს პოლიტიკა იცავს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, მოითხოვს უარი ვთქვათ ორ საწინააღმდეგო საზოგადოებრივ სისტემას შორის ურთიერთობის საკითხების გადაწყვეტაზე სამხედრო გზით, თანამიმდევრულად იცავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კურსს.

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის ბრძოლაში ჩვენ ცოტა წარმატებას როდი ვაღწევთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სოციალისტური ქვეყნები შეთანხმებულად, ერთიანი ფრონტით გამოდიან.

მაგრამ ვითარება ყველა ჩვენგანისაგან მოითხოვს დიდ სიფხიზლეს მსოფლიო ასპარეზზე ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგის მიმართ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას, რომელსაც ახლა ნატოს სამხედრო მზადების პასუხად ეწევიან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ჩვენი მოძმე ქვეყნების კავშირის სამხედრო მექანიზმის განმტკიცებისა და სრულყოფისათვის.

იცოდეს ყველა იმან, ვინც ივიწყებს ისტორიის გაკვეთილებს და ვისაც უნდა კვლავ მოჰკიდოს ხელი ევროპის რუკის გადაკეთებას, რომ პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ისე როგორც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყოველი სხვა ქვეყნის საზღვრები ურყევი და ხელშეუხებელია. ამ საზღვრებს იცავს სოციალისტური თანამეგობრობის მთელი შეიარაღებული ძალა. ვურჩევთ კარგად დაიხსომოს ეს ყველამ, ვისაც სხვისი საზღვრების ხელყოფა სჩვევია!

ამხანაგებო, ამოცანები სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მოითხოვს, რომ ჯეროვნად ვიმუშაოთ ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად. ეს კარგად იყო ნათქვამი ამხანაგ გომულკას მოხსენებაში. ეს მომწიფებული საკითხები მალე უნდა განიხილოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელების თათბირმა.

შრომის უფრო ფართო საერთაშორისო სოციალისტური განაწილება, წარმოების კოოპერირება და სპეციალიზაცია საშუალებას მოგვცემს გაცილებით უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ სოციალიზმის უპირატესობანი, უფრო სწრაფად განვავითაროთ სახალხო მეურნეობა თვითეულ ჩვენს ქვეყანაში. მივაღწიოთ ახალ წარმატებებს კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

ამხანაგებო! კომუნიზმის იდეები ჩვენი საუკუნის წამყვანი იდეები გახდა. შეიძლება ითქვას, არასოდეს ბურჟუაზიული პროპაგანდა ასე აქტიურად არ სწავლობდა კომუნიზმის საკითხებს, როგორც ჩვენს დროში. სავსებით ცხადია, რომ ბურჟუაზიას ეშინია კომუნისტური მოძრაობის შემდგომი ზრდისა, რომელმაც უკვე მსოფლიო განვითარება ჰპოვა, მოიპოვა დიდი გამარჯვებანი და, დაამკვიდრა რა სოციალიზმი სამი კონტინენტის ქვეყნებში, გვიჩვენა, რომ უნარი შესწევს პრაქტიკულად განახორციელოს თავისი მიზნები და იდეალები.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარე დიდი კლასობრივი ბრძოლები ცხადყოფენ, რომ იქაც მუშათა კლასი, მისი რევოლუციური ავანგარდი აძლიერებენ შეტევას კაპიტალიზმზე, ქმნიან სოციალისტური რევოლუციის არმიას.

კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც მოქმედებენ ძნელ პირობებში, ხშირად იმყოფებიან არალეგალურ მდგომარეობაში, განიცდიან დევნასა და ტერორს, თავდადებით იბრძვიან მუშათა კლასის, მთელი მშრომელი ხალხის საქმისათვის. ბევრი მათგანი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა გახდა. ისინი აქტიურად განამტკიცებენ მასებთან კავშირს, აცნობენ მასებს მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, რევოლუციის იდეებს.

მსოფლიოში იზრდება მუშათა კლასის მოკავშირეთა რიგები იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს აახლოებს ჩაგრულ ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ჟამს. ამავე დროს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს, რომლებიც რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობენ მუშათა კლასთან ერთად, ამ მოძრაობაში შეაქვთ თავიანთი პროლეტარული იდეოლოგიისაგან განსხვავებული შეხედულებანი და იდეები, რომლებითაც ხშირად საზრდოობს მემარჯვენე ოპორტუნიზმი და „მემარცხენე" ავანტიურიზმი კომუნისტური მოძრაობის ცალკეულ რაზმებში.

სწორი არ იქნება ჯეროვნად არ ვაფასებდეთ ასეთ მიმდინარეობათა საშიშროებასა და მავნეობას. ცნობილია, რომ როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე" ყაიდის რევიზიონისტები მთელი მათი გარეგნული განსხვავების მიუხედავად მთავარში ერთი აზრისა არიან: ერთნიც და მეორენიც ამახინჯებენ სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას, აკნინებენ მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — მარქსისტულ-ლენინური პარტიის როლს სოციალისტურ რევოლუციასა და სოციალისტურ მშენებლობაში. ერთნიც და მეორენიც ღალატობენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს და ამით ასუსტებენ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, აფერხებენ რევოლუციური პროცესის განვითარებას. ერთსაც და მეორესაც ახასიათებს ეროვნული შეზღუდულობა რევოლუციური ბრძოლის მრავალი უმნიშვნელოვანესი პრობლემის შეფასებაში და ზოგჯერ ეს შეზღუდულობა ნამდვილ შოვინიზმად იქცევა. სადამდე შეიძლება მიდიოდნენ ამ მხრივ რევიზიონისტები, რომლებიც ინიღბებიან „მემარცხენე" ფრაზებით, გვიჩვენებს მაო ძედუნის ჯგუფის პოლიტიკა.

რა თქმა უნდა, მთელი ეს დამახინჯებანი სრულიად უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგული ნამდვილი კომუნისტებისათვის. კომუნისტური მოძრაობის ძლიერების დიდმნიშვნელოვანი წყარო ყოველთვის ინტერნაციონალიზმი იყო. მუშათა კლასისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მისი ბრძოლის ინტერესები, გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, მოითხოვენ ყველა ერის მუშათა სრულ სოლიდარობასა და უმჭიდროეს ერთიანობას, მოითხოვენ ნაციონალისტური პოლიტიკისადმი წინააღმდეგობას. ეს ინტერესები მტკიცედ მოითხოვენ კომუნისტთა შეკავშირებას ჩვენი საბრძოლო იდეური იარაღის — მარქს-ლენინის რევოლუციური მოძღვრების დასაცავად.

სხვადასხვა პირობებში მოქმედი კომპარტიები შესაძლოა სხვადასხვანაირად მიუდგნენ ამა თუ იმ პრობლემას. ჩვენ სწორად არ მოვიქცეოდით, თუ ვერ დავინახავდით აზრთა არსებულ სხვაობას ცალკეულ საკითხებში. ჩვენი აზრით, ზოგიერთი ეს სხვაობა უაღრესად დროებითი ხასიათისაა და გაქრება, როცა მოვლენათა მსვლელობა გაარკვევს სადავო საკითხთა არსს. სხვა სხვაობანი, როგორც ჩანს, შესაძლოა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდეს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ ხელი არ უნდა შეუშალონ საერთო ბრძოლას საერთო მოწინააღმდეგესთან ჩვენი საერთო დიადი მიზნებისათვის.

მთავარი ის არის, რომ ამა თუ იმ საკითხში უთანხმოებათა მიუხედავად კომუნისტური და მუშათა პარტიები ეძებენ საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების გზებსა და საშუალებებს, ესწრაფვიან თავიანთი რიგების ერთიანობის განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე. ჩვენი მხრივ, ყოველთვის სასარგებლოდ მიგვაჩნდა აზრთა ამხანაგური ურთიერთგაზიარება და მზად ვართ გულახდილად განვიხილოთ მოძმე პარტიებს შორის წამოჭრილი პრობლემები. დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ ჩვენი ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცების გზით გადაწყდება წამოჭრილი საკითხები საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის ინტერესების შესაბამისად. და ეს ბუნებრივია, რადგან გვაქვს საერთო იდეური საფუძველი — მარქსიზმ-ლენინიზმი, გვყავს საერთო მტერი — იმპერიალიზმი, გვაქვს საერთო მიზანი — კომუნიზმის გამარჯვება.

ამ თვალსაზრისით განვიხილავთ აგრეთვე მზადებას კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირისათვის. ჩვენი პარტია, რომელიც დიდად აფასებს კომუნისტური პარტიების წარმომადგენელთა საერთაშორისო თათბირების როლს, სხვა მოძმე პარტიებთან ერთად მოითხოვს, რომ ახალი თათბირი მოეწყოს ახლო მომავალში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს იხმარს მისი წარმატებით მომზადებისა და მოწყობისათვის.

ვითარება მოითხოვს მოძმე პარტიების შეკავშირებას, რათა უფრო მძლავრად შევუტიოთ იმპერიალიზმს. დღეს კომუნისტებისათვის ახალი ძალით მოწოდებად გაისმის ჩვენი მოძრაობის უკვდავი ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!".

ამხანაგებო!

ჩვენ დიდი ინტერესით ვუსმენთ პოლონელ კომუნისტებს, რომლებიც თავიანთ ყრილობაზე სვამენ სოციალისტური საზოგადოების განვითარების პრობლემებს. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებით კარგად ვიცით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ პრობლემების, მთელი მათი სირთულისა და მრავალფეროვნების დანახვა.

ლენინის პარტიის გარშემო შეკავშირებული საბჭოთა ადამიანების მრავალი წლის გმირული შრომით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა თანამედროვე ეკონომიკა. წარმოების მოცულობით საბჭოთა კავშირს უკვე დიდიხანია მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, ხოლო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლებით — პირველი ადგილიც. ხუთწლედის პირველი სამი წლის შედეგები ცხადყოფენ, რომ მიმდინარე სახალხო-სამეურნეო ამოცანები როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენში წარმატებით სრულდება. გადაჭარბებით სრულდება სამრეწველო პროდუქციის მატების დასახული ტემპები. განხორციელდა დიდი ღონისძიებანი მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების დარგში. მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ჩვენში დიდი აღმავლობით შრომობენ. განუხრელად მტკიცდება საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი შეკავშირება პარტიის გარშემო.

ჩვენ გვახარებს მიღწეული წარმატებანი, მაგრამ გვესმის, რომ ცოცხალ განვითარებადს სოციალისტურ საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს ისეთი მდგომარეობა, როცა გადაჭრილია ყველა საკითხი, როცა არ არის საჭირო უკეთესის ძიება. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას აქვს თავისი დიალექტიკა: თვით განვითარების მსვლელობა აყენებს სულ ახალ ამოცანებს; რაც უფრო მაღალი დონეა მიღწეული, მით უფრო დიდია მოთხოვნები, რომლებსაც ვუყენებთ პარტიას, სახელმწიფოს, ყველა მშრომელთ, რათა უზრუნველვყოთ ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების რთული მექანიზმის ზუსტი, ორგანიზებული მუშაობა.

აი რატომ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას ჩვენი პარტია მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის შემუშავებას ცხოვრების ყველა დარგში. დიდ ყურადღებას ვუთმობთ მეურნეობის გაძღოლის, დაგეგმვისა და მართვის მეთოდების სრულყოფას, ეკონომიკის ყველა დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უაღრესად ფართოდ დანერგვის ამოცანას. საბჭოთა ეკონომიკის ძალისა და შემდგომი ზრდის წყარო ხდება უკვე არა მარტო ქარხნების რიცხვის გადიდება და ახალი მიწების ათვისება, არამედ სულ უფრო მეტად საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდება, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

მსოფლიოში ჩაღდება თავისი ტემპებითა და გაქანებით უმაგალითო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. და ვინ უნდა იყოს მეცნიერებისა და ტექნიკის რევოლუციური გარდაქმნების წინა ხაზზე, თუ არა ჩვენ, კომუნისტები, რომლებმაც მოვახდინეთ უდიდესი სოციალური რევოლუცია. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მშრომელთა შეიარაღება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნით, მეცნიერულ აღმოჩენათა შედეგების რაც შეიძლება სწრაფად დანერგვა ცხოვრებაში. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალი, მნიშვნელოვნად დააჩქარებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

თვით ჩვენს საზოგადოებაში მოხდა დიდი ცვლილებანი. სხვანაირი გახდა მისი სოციალური შემადგენლობა და კლასებს შორის ურთიერთობა. სხვანაირი გახდა იმ ადამიანთა სახეც, რომლებისგანაც იგი შედგება. სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩვენი საზოგადოების შესაძლებლობანი, მაგრამ ასევე იზრდება მისი მოთხოვნილებებიც.

საჭიროა, რომ ამ პროცესებთან ერთად ვითარდებოდეს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებაც. გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომ ამაღლებას. პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფა საერთო [illegible]ზული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, რომლებიც დაისახა კომუნიზმის მშენებელმა საბჭოთა ხალხმა.

პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლება სრულიადაც არ იწვევს იმას, რომ, ვთქვათ, მან გასწიოს საბჭოებისა თუ სამეურნეო ორგანოების, ან პროფკავშირებისა და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციების მაგივრობა. პირიქით, ერთ-ერთი ამოცანა საზოგადოებისადმი ხელმძღვანელობისა, რასაც პარტია ახორციელებს, ის არის, რომ ყოველნაირად გავააქტიუროთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლი, გავაუმჯობესოთ მათი მუშაობა, ავამაღლოთ მათი პასუხისმგებლობა.

ჩვენი პარტია თანმიმდევრულად ადგას სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების კურსს. ჩვენ, კომუნისტები, ნამდვილი დემოკრატიის მომხრენი ვართ, და უამისოდ ვერ წარმოგვიდგენია წინსვლა. ჩვენ დემოკრატიად მიგვაჩნია მშრომელთა უფართოესი ფენების ჩაბმა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისეთი პირობების შექმნა, როცა ისინი ნამდვილად მონაწილეობენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში. ასეთ დემოკრატიას ჩვენ ყოველნაირად ვავითარებთ და კვლავაც განვავითარებთ.

ამხანაგებო, ჩვენ შთაგვაგონებს იმის შეგნება, რომ კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის წარმატებანი, ისევე, როგორც ყველა იმ ხალხის წარმატებანი, რომლებიც დაადგნენ სოციალიზმის გზას, ამრავლებენ თავისუფლებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლთა ძალებს.

ჩვენ ვხედავთ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების სიდიადესა და მასშტაბებს და განუწყვეტლივ ვეძებთ მათი გადაწყვეტის ყველაზე საიმედო გზებს. ამ აზრებით ეგებება საბჭოთა ხალხი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ძვირფასო პოლონელო ამხანაგებო!

ჩვენმა პარტიებმა და ხალხებმა ერთად განვლეს დიდი და სახელოვანი გზა. სრული ურთიერთთანხმობით, მჭიდრო ერთიანობით პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხები აშენებენ ახალ საზოგადოებას. ჩვენ ფართოდ და ეფექტიანად ვთანამშრომლობთ ცხოვრების ყველა დარგში.

ჩვენი პარტია დიდად აფასებს იმ წვლილს, რომელიც პოლონელმა კომუნისტებმა შეიტანეს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში, ის, რასაც ამ დარგში მივაღწიეთ, ჩვენს პარტიებსა და ხალხებს შორის გულწრფელი ნდობის შედეგია, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების პრაქტიკული გამოყენების შედეგია, ეს არის ინტერნაციონალიზმი მოქმედებაში!

სხვა მოძმე ქვეყნების პარტიებთან და ხალხებთან მჭიდრო კავშირში მიდიან პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტები და მშრომელები კომუნიზმის დიადი იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლის სახელოვანი გზით. თქვენი ყრილობის დღეებში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის 20 წლის იუბილესა და პოლონეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის წინ საბჭოთა კავშირის კომუნისტები სულითა და გულით გისურვებენ თქვენ, ამხანაგებო, ახალ წარმატებებს, ახალ დიდ გამარჯვებებს სოციალისტური პოლონეთის მშენებლობაში!

გაუმარჯოს პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, პოლონეთის მშრომელთა ავანგარდს, რომელსაც ქვეყანა მიჰყავს სოციალიზმის გზით!

გაუმარჯოს და აყვავდეს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობა!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

**(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დროს არაერთგზის გაისმა ხანგრძლივი ტაში).**

# პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობა

# ამხანაგ ვ. გომულკას მოხსენება

ვ. გომულკამ მოხსენებაში მოიყვანა მკაფიო მონაცემები, რომლებიც ახასიათებს პოლონეთის ეკონომიკის განვითარებას სოციალისტური მშენებლობის 24 წლის მანძილზე. მან აღნიშნა, რომ 1968 წელს სახალხო მეურნეობის ეროვნული შემოსავალი 4-ჯერ აღემატებოდა 1938 წლის ეროვნულ შემოსავალს. 13-ჯერ და მეტად გაიზარდა მრეწველობის საერთო პროდუქცია და 1,6-ჯერ — სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ეს მაჩვენებლები ადასტურებენ სოციალისტური მეურნეობის უპირატესობას კაპიტალისტურ ეკონომიკასთან შედარებით.

სოციალისტური მშენებლობის მეოხებით, ხაზი გაუსვა ვ. გომულკამ, პოლონელმა ხალხმა გამოიყვანა ქვეყანა ჩამორჩენილობიდან და სიღატაკიდან, მიაღწია კულტურისა და ცივილიზაციის უდიდეს განვითარებას, მნიშვნელოვნად გაადიდა თავისი ეკონომიური პოტენციალი.

IV და V ყრილობებს შორის პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა სახალხო პოლონეთის ეკონომიური პოტენციალი. ძირითადი ფონდები სახალხო მეურნეობაში ამ ხნის მანძილზე დაახლოებით 25 პროცენტით გადიდდა. მრეწველობის პროდუქცია დაახლოებით 53 პროცენტით გაიზარდა. მარტო მრეწველობის პროდუქციის მატება 1968 წელს გადააჭარბებს ომამდელი პერიოდის პოლონური მრეწველობის მთელი პროდუქციის წლიურ ღირებულებას.

ტრადიციული სამრეწველო რაიონების განვითარებასთან ერთად, აღნიშნა მომხსენებელმა, შეიქმნა ახალი სამრეწველო ოლქები და ცენტრები — ტარნობჟეგის, პლოცკის, პულავის, ლეგნიცკო-ლოგოვის და კონინის. ამ წლების განსაკუთრებით დიდი წარმატებაა პოლონური სამთომომპოვებელი და გოგირდის მრეწველობის განვითარება, რის შედეგად პოლონეთი გამოვიდა მეექვსე ადგილზე გოგირდის მსოფლიო მწარმოებელთა შორის და მეხუთე ადგილზე მის ექსპორტიორთა შორის.

წარმატებით სრულდება მთავარი ამოცანები, რომლებიც პარტიის IV ყრილობამ დასახა სოფლის მეურნეობის დარგში. 1965-1967 წლებში, 1962-1964 წლებთან შედარებით სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მატება პოლონეთში 15 პროცენტით გაიზარდა. სისტემატურად მაღლდებოდა განვლილ ხუთწლედში მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონე, იზრდებოდა მისი რეალური შემოსავალი. წინა ყრილობის შემდგომ პერიოდს ახასიათებს სახალხო განათლების ინტენსიური განვითარება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჯანმრთელობის დაცვა.

შემდეგ ვ. გომულკა შეეხო უახლოესი წლების ამოცანებს. ჩვენ, თქვა მან, ვგეგმავთ 1969-1970 წლებში დაახლოებით 12 პროცენტით გავადიდოთ ეროვნული შემოსავალი. გათვალისწინებულია, რომ 1971-1975 წლებში ეროვნული შემოსავალი დაახლოებით 36 პროცენტით გაიზრდება. მოხმარების საერთო ფონდი შემდეგ ხუთწლედში თითქმის 27-29 პროცენტით გადიდდება.

პოლონეთის მომავალი ეკონომიური განვითარებისათვის, თქვა მომხსენებელმა, დიდი მნიშვნელობა ექნება სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ურთიერთ საქონელბრუნვის გაფართოებას წარმოების გაღრმავებული სპეციალიზაციისა და კოოპერირების ბაზაზე. რეზერვების გამოყენებისა და ეკონომიური ზრდის დაჩქარების სერიოზულ შესაძლებლობად მიგვაჩნია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის შემდგომი განვითარება და სრულყოფა, ინტეგრაციული პროცესების განვითარება, რომლებიც აერთიანებენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკას.

ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი სოციალისტური განვითარება, აღნიშნა ვ. გომულკამ, ხდება კლასობრივი ბრძოლის პირობებში, რომელიც გამწვავდა IV ყრილობის შემდეგ. მემარჯვენე საზოგადოებრივი ძალები და მათთან ერთად მოქმედი რევიზიონისტული დაჯგუფებანი ცდილობდნენ ჩვენს საზოგადოებრიობაში გამოეწვიათ იდეოლოგიური ქაოსი და პოლიტიკური დეზორიენტაცია, მოქმედებდნენ ისე, რომ გამოეწვიათ შეშფოთება და სოციალისტური საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.

ანტისოციალისტურ ძალებთან პოლიტიკური კონფლიქტის ყველაზე ძლიერი გამოვლინება იყო მარტის ამბები, რომლებიც დაიწყო ვარშავის ლიტერატურულ წრეებში და შემდეგ გავრცელდა მთელი ქვეყნის სტუდენტობაში.

სტუდენტთა ზოგიერთ ცენტრში დემონსტრაციებს ბოლო მოუღო მუშათა კლასმა, რომელმაც მტკიცედ დაუჭირა მხარი პარტიის პოლიტიკას მთელ ქვეყანაში. მუშების ხმას შეუერთდა პოლონეთის სოფლის პროტესტები, ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, პროფკავშირები, ჟურნალისტთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა კავშირები და სხვ.

მარტის ამბებმა კვლავ ცხადყო, რომ მუშათა კლასი ახორციელებს ხელმძღვანელ როლს ხალხში, რომ იგი ქვეყანაში გადამწყვეტი პოლიტიკური ძალა, სახალხო ხელისუფლების მთავარი ბურჯია.

სოციალისტური წყობილების მოწინააღმდეგეებს კარგად აქვთ შეგნებული, სოციალიზმი ისე ღრმად დამკვიდრდა მშრომელი მასების შეგნებაში, რომ აშკარა გამოსვლას მისი სოციალურ-ეკონომიური საფუძვლების წინააღმდეგ წარმატების არავითარი შანსი არა აქვს. ამიტომ ანტისოციალისტური ელემენტები გულმოდგინედ ნიღბავენ თავიანთი მოქმედების ნამდვილ პოლიტიკურ აზრსა და მიზნებს „სოციალიზმის შესწორების" ან „დემოკრატიული სოციალიზმის" ლოზუნგებით. ამ ანტისოციალისტური და რეაქციული ძალების მთავარი მოკავშირე გახდა რევიზიონიზმი.

ვ. გომულკამ აღნიშნა, თუ რა საშიშია რევიზიონიზმი და განაცხადა, რომ რევიზიონიზმისა და სხვა ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება. შემდეგ მომხსენებელი შეეხო კრიტიკის საკითხებს, აღნიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს როლი სეიმის და სახალხო საბჭოებისა, რომლებიც სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისა და სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ავტორიტეტის განმტკიცებასა და მათი საქმიანობის გაუმჯობესებას, ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირებსა და მუშათა თვითმმართველობას. ჩვენი ხალხის იდეური შეგნების დონის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი და ახალგაზრდობისა და მთელი საზოგადოების სოციალისტური აღზრდის სერიოზული ბერკეტია სოციალისტური კულტურის განვითარება, თქვა ვ. გომულკამ. ჩვენ გვინდა, რომ პოლონეთის კულტურა და ხელოვნება უკეთ და უფრო სრულად ასახავდეს სოციალიზმის მშენებელი ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების სიმართლესა და სიმდიდრეს. და ამიტომ ჩვენ წინაღუდგებით ყოველ ცდას — მხატვრული შემოქმედება გამოიყენონ ტრამპლინად ანტისოციალისტური საქმიანობისათვის.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მის შექმნაზე გავლენას ახდენდა სოციალიზმის, პროგრესისა და მშვიდობის ძალების და იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის ძალების ბრძოლა, რომელიც სულ უფრო ძლიერდება.

ძალთა მსოფლიო თანაფარდობის შეცვლის შედეგად, თქვა ვ. გომულკამ, იმპერიალიზმმა სამუდამოდ დაკარგა შესაძლებლობა თავის შეხედულებისამებრ განაგებდეს ხალხთა ბედს, წყვეტდეს მშვიდობისა და ომის საკითხებს. მშვიდობა მთელ მსოფლიოში და მშვიდობა ევროპაში უწინარეს ყოვლისა იმის წყალობით შევინარჩუნეთ, რომ საბჭოთა კავშირმა შექმნა მძლავრი რაკეტულ-ატომური ძალები, რომ განუწყვეტლივ იზრდება სოციალისტური თანამეგობრობის თავდაცვითი ძლიერება და ეკონომიური პოტენციალი, რომ იგი თანამიმდევრულად ახორციელებს სამშვიდობო საერთაშორისო პოლიტიკას. პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის შესანიშნავი წარმატებანი, რომელთა გამოხატულება და სიმბოლოა მიღწევები კოსმოსის დაპყრობაში, საფუძვლად დაედო ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა უძლეველ ძალას. ეს ძალა იცავდა განვლილ წლებში სოციალისტური ქვეყნების შემდგომ ეკონომიურ განვითარებას.

უეჭველია, თქვა მომხსენებელმა, რომ ჩინეთის ხელმძღვანელთა გამთიშველმა პოლიტიკამ წააქეზა ამერიკის იმპერიალიზმი დაეწყო აგრესია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და აეტეხა ომი მთელი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ილუზია და ამაო გამოდგა ყველა იმედი და ვარაუდი, რომლებითაც ამერიკის იმპერიალიზმი ხელმძღვანელობდა, როცა იღებდა გადაწყვეტილებას ვიეტნამში სამხედრო მოქმედების დაწყების, შემდეგ კი მისი ესკალაციის შესახებ.

ვიეტნამის ომი, რომელმაც ლოკალური ხასიათი შეინარჩუნა, ფაქტიურად გადაიქცა სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის, თავისუფლების, პროგრესისა და მშვიდობის საერთაშორისო ძალებსა და კოლონიალიზმის, რეაქციისა და ომის ძალებს შორის დიდ მსოფლიო ბრძოლად.

ახლა, ამერიკის შეერთებული შტატების დიდი სამხედრო ღონისძიებების ხუთი წლის შემდეგ, ნახევარმილიონიანი არმიის ამოქმედებისა და დაბომბვების შემდეგ, რომელთა მასშტაბი მეორე მსოფლიო ომის სამხედრო-საჰაერო ოპერაციებს აღემატება, ნათელი გახდა, რომ ვერ ჩაახშობენ ამ ესოდენ მასობრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ამიტომ ამერიკელი იმპერიალისტები იძულებული გახდნენ დაეთმოთ ვიეტნამელი ხალხისა და მთელი მშვიდობისმოყვარე საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის, რომლებიც მოითხოვდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის უპირობოდ შეწყვეტას. ეს გმირი ვიეტნამელი ხალხისა და სოციალიზმის საერთაშორისო ძალების უდიდესი წარმატებაა.

პოლონეთი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად კვლავაც მტკიცედ დაუჭერს მხარს და დაეხმარება ვიეტნამელ ხალხს.

ვ. გომულკა შეეხო ახლო აღმოსავლეთის პრობლემებს და განაცხადა, რომ იმპერიალისტებმა ამ რაიონში, სამხედრო წარმატებების მიუხედავად, ვერ მიაღწიეს ისრაელის შარშანდელი ივნისის აგრესიის მთავარ მიზნებს, ვერ დაამხეს პროგრესული მთავრობები და ვერ შეანელეს არაბი ხალხების ანტიიმპერიალისტური მისწრაფებანი.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დაწყებისთანავე, თქვა მან, პოლონეთმა დაიკავა ნათელი და მტკიცე პოზიცია: დაგმო ისრაელი აგრესორები და მათი იმპერიალისტი პატრონები, მხარი დაუჭირა არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას.

ფაქტორი, რომელიც განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენარჩუნებაზე, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, გახდა პოლიტიკა, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ახორციელებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მთავრობა თავის „აღმოსავლურ პოლიტიკაში" ხელმძღვანელობდა პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს ევროპაში სახელმწიფო საზღვრების შეცვლას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაციას, დიდი მილიტარისტული გერმანიის აღდგენას 1937 წლის საზღვრებში, ერთი სიტყვით მეორე მსოფლიო ომის შედეგების ლიკვიდაციას. არსებითად ეს არის აგრესიის პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელების ყოველგვარი ცდა გამოიწვევს ომის გაჩაღებას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი მთავრობა თავის „აღმოსავლურ პოლიტიკაში" აგრეთვე ხელმძღვანელობს ამ პროგრამით. მისი განხორციელებისადმი მისწრაფებაში მან აირჩია მხოლოდ სხვაგვარი ტაქტიკა.

სახალხო პოლონეთსა და მის მოკავშირეებს — სოციალისტურ ქვეყნებს არ შეუძლიათ არ გამოიტანონ დასკვნები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკის რევანშისტული კურსიდან. სანამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა არ შეცვლის სოციალისტური ქვეყნებისადმი მტრულ და ევროპის მშვიდობისათვის საშიშ პოლიტიკურ კურსს, მის მშვიდობისმოყვარულ დეკლარაციებს სხვად ვერაფრად მივიჩნევთ, თუ არა ტაქტიკურ ხრიკად. ჩვენი პოზიცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიმართ შეიცავს ამავე დროს მთელი ევროპის უშიშროების ძირითად წინამძღვრებს. პოლონეთი და სხვა სოციალისტური ქვეყნები არ მოითხოვენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისაგან არაფერს გარდა იმისა, რომ ცნოს სტატუს-კვო, რომელიც შეიქმნა ევროპაში ჰიტლერიზმზე გამარჯვების შედეგად, რაც ჩვენმა ხალხებმა მოიპოვეს უდიდესი მსხვერპლის ფასად, არაფერს, გარდა იმისა, რომ ცნოს არსებული საზღვრები, მათ შორის ოდერ-ნეისეს საზღვრები, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები, ცნოს ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტი, უარი თქვას მთელი გერმანული ხალხის წარმომადგენლობის პრეტენზიებზე, იმთავითვე ძალადაკარგულად ცნოს მიუნხენის შეთანხმება, უარი თქვას უკანონო პრეტენზიებზე დასავლეთ ბერლინის მიმართ და რაიმე ფორმით ატომური იარაღის ხელში ჩაგდებაზე.

ვ. გომულკამ შემდეგ აღნიშნა, რომ აშკარა იერიში სოციალიზმის საზოგადოებრივ-ეკონომიური საფუძვლის წინააღმდეგ კლასიკური კონტრრევოლუციის საშუალებით რეაქციული ძალების შეიარაღებული გამოსვლის ფორმით, რომლებსაც მხარს უჭერს ინტერვენცია გარედან, ამჟამად წარმატებას ვერ მიაღწევდა, და განაცხადა, რომ იმპერიალისტმა სტრატეგებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს იდეოლოგიურ დივერსიას, რომელიც სოციალისტური წყობილების დეფორმაციას გამოიწვევდა ბურჟუაზიული მიმართულებით, ხოლო ქვეყანა ეკონომიურად და პოლიტიკურად კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე დამოკიდებული აღმოჩნდებოდა.

იმპერიალიზმისა და რეაქციის ამ სტრატეგიის პირველი მოკავშირე გახდა რევიზიონიზმი, თქვა მან.

ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ კრიზისში რევიზიონიზმმა, რომელიც ძირს უთხრიდა პარტიის პრაქტიკული საქმიანობის ძირითად თეორიულ დებულებებსა და პრინციპებს, რომლებიც გამომდინარეობენ მარქსიზმ-ლენინიზმიდან, მთავარი როლი შეასრულა აშკარად მემარჯვენე და კონტრრევოლუციური ძალების შეტევისათვის გზის გაკაფვაში.

ეს ძალები, რომლებიც ფაქტიურად მოქმედებდნენ რევიზიონიზმის ძალებთან ერთიანი ფრონტით, სულ უფრო გადაჭრით უბიძგებდნენ ჩეხოსლოვაკიას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისაგან ჩამოშორების გზაზე, ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა სოციალისტური თანამეგობრობისაგან ამ სახელმწიფოს მოწყვეტის გზაზე, რაც იმპერიალიზმის სასარგებლოდ შეცვლიდა ძალთა თანაფარდობას ევროპაში. ეს პროცესი შევიდა საშიშ ფაზაში და, დროზე რომ არ შეგვეჩერებინა, აღარაფერი იშველებოდა. სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიები და მთავრობები პასიურად ვერ მოეკიდებოდნენ ამ საფრთხეს, რომელიც შექმნა არა მარტო ერთ-ერთ სოციალისტურ სახელმწიფოს, არამედ მათ საერთო სასიცოცხლო ინტერესებსაც. იმპერიალიზმის გეგმების ჩაფუშვა, იმ საფრთხის ლიკვიდაცია, რომელიც ემუქრებოდა სოციალისტური ბანაკის ჩეხოსლოვაკიის რგოლს, ხუთი სოციალისტური სახელმწიფოს ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეყვანის გზით ამ პირობებში იყო აუცილებელი, ნაკარნახევი როგორც ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობით, ისე ჩვენი ეროვნული სახელმწიფო ინტერესებით, უშიშროებისა და მშვიდობის ინტერესებით.

არსებითად, ხუთი სოციალისტური ქვეყნის ამა წლის 21 აგვისტოს ღონისძიებანი პროფილაქტიკური ღონისძიებანი იყო ევროპის უშიშროებისა და მშვიდობის დასაცავად, და ამით შეესაბამებოდნენ ყველა ხალხის ინტერესებს. ვერაფერი ვერ წააქეზებდა ისე ომის, აგრესიისა და ანტიკომუნიზმის ძალებს შეეცვალათ საზღვრები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება ევროპაში, როგორც ვარშავის ხელშეკრულებისათვის ძირის გამოთხრა და ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი პოლიტიკის კურსის აღება.

იუგოსლავიას, რომელიც ეგრეთწოდებულ მიუმხრობლობის პოლიტიკას ადგას, შეუძლია განახორციელოს იგი მხოლოდ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ერთიანობის პირობებში. თუ სხვა სოციალისტური ქვეყნებიც მიბაძავენ იუგოსლავიის მაგალითს, მაშინ, ევროპაში კოლექტიური უშიშროების რაიმე მექანიზმის უქონლობის გამო, თვითეული ეს ქვეყანა ღია კარი აღმოჩნდებოდა ყოველგვარი იმპერიალისტური და რეაქციული ინტერვენციისათვის, ზეგავლენისა და გადატრიალებისათვის.

ჩვენი უშიშროებისა და ჩვენი საზღვრების შეუვალობისათვის, ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან მჭიდრო კავშირსა და ყოველმხრივ თანამშრომლობას.

ჩვენ, განაცხადა გომულკამ, მხარს ვუჭერთ ევროპის უშიშროების განმტკიცების რეალური მოქმედების გზით, რომლის განხილვას ხელი უნდა მოჰკიდოს ევროპის ყველა ქვეყნის კონფერენციამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობით. ჩვენი წინადადებაა, რომ ევროპის ყველა სახელმწიფომ, მათ შორის გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დადონ ხელშეკრულება ძალის გამოყენებისა ან მისი გამოყენების მუქარაზე, აგრეთვე საშინაო საქმეებში ჩარევაზე უარის თქმის შესახებ. ასეთი ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს კონკრეტულ ვალდებულებებს, რომლებიც ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრების უშიშროებისა და შეუვალობის გარანტიას მოგვცემდა.

IV ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში კომუნისტური და მუშათა პარტიების უმრავლესობა, უწინარეს ყოვლისა სოციალისტური ქვეყნების პარტიათა უმრავლესობა, რომლებსაც განსაკუთრებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ახორციელებდნენ ღონისძიებებს სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისათვის. ჩვენი პარტია აქტიურად მონაწილეობდა ყველა ამ მოქმედებაში, რითაც დიდი წვლილი შეჰქონდა იმ ღონისძიებებში, რომლებიც ინტერნაციონალიზმის საქმეს ემსახურებიან.

ჯერ კიდევ IV ყრილობამდე გამოვლინილი უთანხმოებანი, რაც ჩინეთის კომპარტიის პოლიტიკამ გამოიწვია, განაცხადა ვ. გომულკამ, უკანასკნელ წლებში აშკარა გათიშვად გადაიქცა. ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის პოლიტიკამ, რომელსაც ნაციონალიზმი და დიდმპყრობელური შოვინიზმი ახასიათებს, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა სოციალისტურ ბანაკს, მთელ კომუნისტურ მოძრაობას და სოციალიზმის საქმეს მთელ მსოფლიოში.

მაო ძე-დუნის ჯგუფის გამთიშველმა კურსმა გამოიწვია ის, რომ ჩინეთის კომპარტია თითქმის სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. ჩინეთის კომპარტიის მოკავშირედ რჩება მხოლოდ ალბანეთის შრომის პარტია, რომელიც ჩინეთის კომპარტიის გამთიშველი საქმიანობის პლაცდარმის როლს ასრულებს ევროპაში.

მომხსენებელმა შემდეგ თქვა, რომ საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში არსებული ნაციონალისტური, რევიზიონისტული და მემარცხენული ტენდენციები ასუსტებენ მის ერთიანობას, ამით კი კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების ძალასა და ეფექტიანობას. მთელ ამ მადეზინტეგრირებელ ტენდენციებს მოხერხებულად აღვივებენ და იყენებენ იმპერიალისტები და მათი აგენტები.

ჩვენი პარტია, თქვა მომხსენებელმა, მომხრეა ღია, გულწრფელი დისკუსიისა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში, იგი მოითხოვს, რომ არ მიჩქმალონ აგრეთვე ის საკითხებიც, რომლებიც უთანხმოებებს იწვევენ. ჩვენ მიგვაჩნდა და კვლავ მიგვაჩნია, რომ ეს არის არსებულ უთანხმოებათა თანდათანობით დაძლევის ერთადერთი მეთოდი. მთავარი ამოცანა და ამავე დროს რეალური მიზანია მისწრაფება მივაღწიოთ მოძრაობის ერთიანობას პრინციპულ საკითხში — იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია მუშათა კლასისა და მთელი ხალხის იდეური ხელმძღვანელი, სახელმწიფოს ხელმძღვანელი ძალა, სოციალიზმის მშენებლობის მამოძრავებელი ძალაა. ვ. გომულკამ თქვა, რომ პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიაში ახლა 2 მილიონზე მეტი წევრია, 70 ათასზე მეტი პირველადი ორგანიზაციაა. წინა ყრილობის შემდეგ პარტიაში შევიდა 717 ათასამდე პარტიის წევრობის კანდიდატი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ 350 ათასამდე მუშა, 104 ათასზე მეტი გლეხი და ბევრი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

მან აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს იდეოლოგიური მუშაობა, რადგან ახლა იდეოლოგიური ფრონტი ხდება მსოფლიო მასშტაბით ორი სისტემის ბრძოლის მთავარი ფრონტი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის აღზრდას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ურყევი ერთგულების სულისკვეთებით. ამას გვიკარნახებენ არა მარტო იდეოლოგიური მოსაზრებანი, არამედ პოლონეთის ყველაზე სასიცოცხლო ინტერესებიც.

ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ მარქსისტულ-ლენინურ პარტიას შეუძლია წარმატებით ასრულებდეს თავის ხელმძღვანელ როლს, თუ შინაპარტიული ცხოვრების პრაქტიკაში თანმიმდევრულად დაიცავს დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინურ პრინციპებს.

პარტიის ხელმძღვანელ როლს, თქვა მან დასასრულს, ვერ ამოწურავთ იმით, რომ ქვეყნის ისტორიაში ხელმძღვანელობდნენ ცენტრალური კომიტეტი ან სხვა პარტიული ინსტანციები. პარტიის ხელმძღვანელ როლს უნდა ახორციელებდეს მთელი პარტია, ყველა მისი ორგანიზაცია და ყველა მისი წევრი იმ გზით, რომ ასრულებდეს — თვითეული თავის უბანზე — პარტიის გადაწყვეტილებებს, ნერგავდეს თავის გარემოში პარტიის პოლიტიკასა და ნორმებს, გრძნობდეს და ხელმძღვანელობდეს სოციალისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებას.

# მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა თანამეგობრობა

### ავტომატიზირებული ელექტროამძრავის საკითხებისადმი მიძღვნილი V სრულიად საკავშირო კონფერენცია

ელექტროამძრავი სამუშაო მანქანებისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ძირითადი საშუალებაა. საგლინავი დგანები და საბაგირო გზები, ტრამვაი და ტროლეიბუსები, ლიფტები და მაცივრები, ყოველივე ეს მოძრაობაში მოჰყავს ელექტროამძრავს. ელექტროამძრავის შემდგომი სრულყოფის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მისი გამოყენების პრობლემებს განიხილავს — ავტომატიზებული ელექტროამძრავის საკითხებისადმი მიძღვნილი V სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელიც 12 ნოემბერს გაიხსნა თბილისში.

კონფერენციაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი, ინჟინერი და ტექნიკოსი. კონფერენცია მოიწვიეს სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიამ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ, ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა მ. ჩილიკინმა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით შეკრებილთ მიესალმა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩოგოვაძე.

პლენარულ სხდომაზე მოისმინეს პროფესორების მ. ჩილიკინის, ი. პეტროვის, მ. სოკოლოვისა და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ვორონეცკის გაერთიანებული მოხსენება „ავტომატიზებული ელექტროამძრავის პრობლემები". ავტომატიზებული ელექტროამძრავის საშუალებებისა და სისტემების შექმნაში სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს მუშაობაზე ილაპარაკა კოლეგიის წევრმა, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსმა ი. ნიკიტინმა.

კონფერენციის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის პროფესორმა მ. სოკოლოვმა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— მეცნიერთა და მრეწველობის საპროექტო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ახლანდელი შეკრების მიზანია შევაჯამოთ ოთხი წლის მანძილზე, წინა კონფერენციიდან დღემდე ტექნიკის ამ დარგში გაწეული მუშაობის შედეგები, აგრეთვე დასახონ ელექტროამძრავის ძირითადი მიმართულებების განვითარების გზები უახლოესი წლებისათვის.

ახლა ჩვენი ძირითადი ამოცანაა ელექტროამძრავისათვის გამოვიყენოთ ნახევარგამტართა ტექნიკა. საბჭოთა კავშირში უკვე ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაშრომებს ასინქრონული ძრავების ნაწილობრივი და პარამეტრული რეგულირებისათვის, აგრეთვე კასკადურ სქემებში ნახევარგამტართა ტექნიკის გამოყენების შესახებ.

ქართველმა მეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბაგირო გზებზე, ჩარხსაშენებელ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სამთო წარმოებასა და სხვა დარგებში ელექტროამძრავების სრულყოფის საქმეში. ყოველივე ამას ისინი მოახსენებენ კონფერენციას. (საქდესი).

## მეგობრული შეხვედრები

12 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მიიღეს აფრიკის ქვეყნების ეროვნული პროფცენტრების ხელმძღვანელობის წევრთა ჯგუფი. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ლელაშვილი მეგობრულად ესაუბრა ანგოლის, გვინეის, ზემო ვოლტის, დაგომეის, მალის, მაროკოს, ჩადის ეროვნული პროფცენტრების წარმომადგენლებს. საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე და საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ო. ცანავა.

დელეგაციის წევრთა სახელით ჩადის მშრომელთა ეროვნული გაერთიანების გენერალურმა მდივანმა გორალამ მადლობა გადაიხადა მასპინძლობისათვის, რომელიც მათ საქართველოში გაუწიეს.

ჩვენს ქვეყნებში, თქვა ბატონმა გორალამ, სანამ ისინი დამოუკიდებლობას მიაღწევდნენ, აღვირახსნილ პროპაგანდას ეწეოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დემაგოგიურად ამახინჯებდნენ თქვენი ქვეყნის სინამდვილეს. საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისთანავე დავრწმუნდით, რა ფასი აქვს ამ პროპაგანდას. შემთხვევით როდი ამბობენ, უკეთესია ერთხელ ნახო, ვიდრე ათჯერ მოისმინოო.

ჩვენ ვნახეთ, რომ საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ თანასწორობის პირობებში, შეძლებულად და ესწრაფვიან მშვიდობას.

თქვენი ქვეყნის მეოხებით, განაგრძო ბატონმა გორალამ, ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ უკეთესი ცხოვრება. საჭიროა ხშირად ჩამოვიდეთ თქვენთან, გამოვგზავნოთ თქვენს ქვეყანაში სხვადასხვა დელეგაცია. საჭიროა, რომ ჩვენმა ხალხმა თვალნათლივ დაინახოს თქვენი შესანიშნავი შრომის ნაყოფი.

მეორე დღეს თბილისში სტუმრადაა აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ნიგერიის კომიტეტის გენერალური მდივანი მადუხონ მომოდუ, ამ კომიტეტის ხელმძღვანელობის წევრი ფრენსის ოუფულამან კოკერი, აფრიკა-აზიის ქვეყნების სოლიდარობის სომალის კომიტეტის გენერალური მდივანი ისაკ აბდელაზიზ შეკ ისმაილი და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მოჰამედ ჰასან ჰერპი.

სტუმრები შეხვდნენ აფრიკის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზ. კვაჭაძეს.

საუბარში, რომელმაც გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდა აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი ვ. გულისაშვილი. (საქდესი).

# საერთაშორისო ცხოვრება

**აშშ**

## დაპირება ქაღალდზევე დარჩა

ვაშინგტონი, 12 ნოემბერი. (საქდესი). მთავრობის დაპირება ამერიკის შეერთებული შტატების ღარიბთა საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ქაღალდზევე რჩება. როგორც ქალაქების პრობლემების ეროვნული კომისიის მოხსენებაშია ხაზგასმული, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა აქ, ხელისუფალთა მცადინეობა ამ დარგში უაღრესად ნაკლოვანი და უმნიშვნელოა.

კომისიის თავმჯდომარე, ყოფილი სენატორი პ. დუგლასი დასძენს, რომ ჯერ კიდევ 1949 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ექვსი წლის განმავლობაში 810 ათასი ახალი ბინის მშენებლობას მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის. განვლილ ცხრამეტ წელიწადში ხაზს უსვამს იგი, ამ კანონით დასახული ამოცანები მხოლოდ სანახევროდ შესრულდა.

## ნიქსონი შეხვდა ჯონსონს

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ თეთრ სახლში რ. ნიქსონი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ლ. ჯონსონს. შეხვედრის დროს, რამაც ორ საათს გასტანა, ჯონსონმა, აგრეთვე სახელმწიფო მდივანმა რასკმა, თავდაცვის მინისტრმა კლიფორდმა და მთელმა რიგმა სხვა მაღალი თანამდებობის პირებმა გააცნეს პრეზიდენტის არჩევნებზე გამარჯვებულ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიმართულებანი. საუბრის დროს შეეხნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა მდგომარეობა ვიეტნამში, ახლო აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ნატოში.

შემდეგ გაიმართა ნიქსონის შეხვედრა პრესის წარმომადგენლებთან.

**გვატემალა**

ლათინურ ამერიკაში ახალგაზრდობა სულ უფრო აქტიურად იბრძვის თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის. ამ სურათზე, რომელიც გადაღებულია გვატემალაში, ხედავთ, თუ როგორ უსწორდებიან ჯარისკაცები სტუდენტთა დემონსტრაციის მონაწილეებს.

ფოტო პრენსა ლატინასი.

**საფრანგეთი**

## კომპარტიის აგრარული პროგრამა

პარიზი, 11 ნოემბერი, (საქდესი). გლეხობის მდგომარეობის ანალიზი, საფრანგეთის კომპარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა თანამედროვე მოთხოვნათა თვალსაზრისით, პარტიის აქტივისტთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება სოფლად — ეს საკითხები განიხილა 9-10 ნოემბერს 400 დელეგატმა, რომლებიც საფრანგეთის კომპარტიის ინიციატივით შეიკრიბნენ პარიზის გარეუბან მონტრეიში სოფლის მეურნეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ თათბირზე.

თათბირის მონაწილეთა მიერ მოწონებული აგრარული პროგრამა შეიცავს კონკრეტულ წინადადებას, რომელთა მიზანია იმ სიძნელეთა ლიკვიდაცია, რასაც საფრანგეთის საშუალო და წვრილი სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლები აწყდებიან. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერისა და განვითარების საკითხებს, სოფლის ახალგაზრდობის პრობლემებს.

თავის პროგრამაში ფრანგი კომუნისტები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, რომ საჭიროა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის, ყველა მემარცხენე ძალის კავშირის განმტკიცება.

თათბირის დელეგატების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია აპირებს ფართო პროპაგანდა გაუწიოს თავის აგრარულ პროგრამას. მასში ყურადღება ეთმობა იმას, რომ საჭიროა პარტიის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლეხთა პროფესიული გაერთიანების მუშაობაში ყველა დონეზე.

თათბირზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა გას ტონ პლისონიემ, რომელმაც შეაჯამა ორი დღის დისკუსიის შედეგები.

**იორდანია**

## პროვოკაციები არ წყდება

ამანი, 11 ნოემბერი. (საქდესი). ისრაელი ექსტრემისტები კვლავ დაძაბულობას ქმნიან იორდანიასთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე. დღეს დილით ისრაელის ჯარებმა ორჯერ დაუშინეს არტილერიის, ნაღმსატყორცნისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი იორდანიის ჯარების პოზიციებს მდინარე იორდანის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში. ორივე შემთხვევაში იორდანიის ძალებმა ცეცხლითვე უპასუხეს. იორდანიის სამხედრო წარმომადგენლის განცხადების თანახმად, იორდანიის მხარეს ზარალი არ განუცდია.

ერთ-ერთი ასეთი სროლის დროს, როგორც სამხედრო წარმომადგენელმა აღნიშნა, ისრაელის ორმა ავიაგამანადგურებელმა ნაპალმის ბომბები ჩამოყარა იორდანიის ტერიტორიაზე ალ-ბაკურის დასახლებული პუნქტის ჩრდილოეთით.

**პაკისტანი**

## ქოლერის ეპიდემია

ყარაჩი, 11 ნოემბერი. (საქდესი). აღმოსავლეთ პაკისტანის ერთ-ერთ რაიონში — კაშტიაში დაიწყო ქოლერის ეპიდემია. როგორც გაზეთი „პაკისტან ობსერვერი" იუწყება, ეპიდემიის შედეგად 20 კაცი გარდაიცვალა.

**კამბოჯა**

## მტკიცე პროტესტი

პნომპენი, 11 ნოემბერი. (საქდესი). 6 ნოემბერს სამი ამერიკული სამხედრო ვერტმფრენი შეიჭრა კამბოჯის საჰაერო სივრცეში და დაბომბა და ცეცხლი დაუშინა სოფელ დაუნგს სვაირიენგის პროვინციაში. როგორც ქხმერ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის მხედრიონის დანაშაულებრივი თავდასხმის შედეგად დაიღუპა ერთი და დაიჭრა 24 კამბოჯელი გლეხი, აქედან 11 მძიმედ დაიჭრა. იმავე დღეს 10 ამერიკულმა ვერტმფრენმა ცეცხლი დაუშინა კამბოჯის სატვირთო ავტომანქანას ტრატიეს პროვინციაში. დაიხოცა ორი და მძიმედ დაიჭრა ავტომანქანაში მყოფი სამი კამბოჯელი.

ეს ინციდენტები, ნათქვამია კამბოჯის სახელმწიფო მეთაურის კაბინეტის კომუნიკეში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა პნომპენში, კამბოჯის წინააღმდეგ ამერიკის მხედრიონის მიერ ჩადენილი აგრესიული აქტების გრძელი ჯაჭვის გაგრძელებაა. თავდასხმა, რომელიც 6 ნოემბერს მოეწყო, ნათქვამია კომუნიკეში, თითქმის ემთხვევა დროით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 8 ნოემბრის ნოტას, რომელშიც ამერიკის მთავრობა იუწყება, რომ მან ბრძანება მისცა ჯარებს შეზღუდონ ოპერაციები კამბოჯის საზღვრის რაიონში და „თავი აარიდოს ინციდენტებს, რომლებსაც რაიმე ზიანის მიყენება შეუძლია კამბოჯისათვის." სახელმწიფოს მეთაურის კაბინეტი, აღნიშნულია კომუნიკეში, ხაზს უსვამს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თვალთმაქცური განცხადებებისა და კამბოჯის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ამერიკის ჯარების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა შორის არსებულ აღმაშფოთებელ წინააღმდეგობას.

კამბოჯის სამეფო მთავრობამ დღეს გამოაქვეყნა აგრეთვე განცხადება, რომელშიც მტკიცე პროტესტს გამოთქვამს მოროდი, სავსებით გაუმართლებელი ბარბაროსული თავდასხმის წინააღმდეგ, რისთვისაც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შეერთებულ შტატებს.

**ერაყი**

## მინისტრის ინტერვიუ

ბაღდადი, 12 ნოემბერი. (საქდესი). აქ შეიქმნება ერაყ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება. ეს განაცხადა გუშინ გაზეთ „ას-საურისათვის" მიცემულ ინტერვიუში ერაყის კულტურისა და ინფორმაციის მინისტრმა აბდალა სამარაიმ.

მინისტრი შეეხო ერაყისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და თქვა, რომ ამ ურთიერთობას მეგობრული ხასიათი აქვს და განუწყვეტლივ ვითარდება. ერაყ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება, დასძინა მან, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

**ბრაზილია**

## სიძვირის ზრდა

რიო-დე-ჟანეირო, 12 ნოემბერი, (საქდესი). მიმდინარე წლის იანვრიდან ოქტომბრამდე ბრაზილიაში 21,3 პროცენტით გაიზარდა სიძვირე. ვარგასის ინსტიტუტის მონაცემებით, განსაკუთრებით ძლიერ გაიზარდა ბინის ქირა (29,4 პროცენტით), გაძვირდა სურსათი, ტანსაცმელი და პირველი საჭიროების სხვა საქონელი, აგრეთვე სამედიცინო მომსახურება (25,6 პროცენტით).

## „კომუნისტის“ პუბლიკაცია

**სიტყვა, რომლის ტექსტიც ქვემოთ მოგვყავს, ზაქარია ფალიაშვილის გარდაცვალების 10 წლისთავზე, 1943 წელს წარმოითქვა. იგი რუსულ ენაზეა დაწერილი და, სამწუხაროდ, ავტორი ხელს არ აწერს. მაგრამ მისი ვინაობის დადგენა შესაძლებელი ხდება შინაარსის მიხედვით: „მე პირველი ეთერი ვიყავი“, ამბობს ერთ ადგილას ავტორი. როგორც ცნობილია, ოპერა „აბესალომ და ეთერი“ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე 1919 წლის 21 თებერვალს დაიდგა. ეთერის პარტიას ასრულებდა ო. ბახუტაშვილი-შულგინა. ამიტომ, ცხადია, ტექსტის ავტორი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ო. ბახუტაშვილი-შულგინა უნდა იყოს. ხსენებული სიტყვის ხელნაწერი ერთხანს ილია ზურაბიშვილის პირად არქივში ინახებოდა, მასვე უთარგმნია ქართულ ენაზე და შემოუნახავს. ამჟამად ორიგინალთან ერთად დაცულია საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ფონდსაცავში.**

**არქივის კუთვნილებად ქცეული დოკუმენტი დღემდე გამოუქვეყნებელი დარჩენილა. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მისი პუბლიკაცია.**

ვ. ჩინჩალაძე,
ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

# ხელოვანის უკვდავება

„ზაქარია ფალიაშვილი ეკუთვნის იმ რჩეულ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც მოწოდებულნი არიან შეასრულონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული მისია და თავიანთი მოღვაწეობის სფეროში ეპოქა შექმნან.

ერთ-ერთი პირველი ქართული ოპერის „აბესალომ და ეთერის“ შექმნის პერიოდი — დაახლოებით 8-10 წლიწადი — აღინიშნება როგორც ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი.

ზაქარია ფალიაშვილს წილად ხვდა ბედნიერება გამხდარიყო მშობლიური ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ნამდვილ ქართულ ეროვნულ ოპერას და აგო ისეთი მკვიდრი და ისეთი დიადი შენობა, როგორიც არის „აბესალომ და ეთერი“. იგი საუკუნეებს გაუძლებს და სახელმძღვანელო მაგალითი იქნება ქართველი კომპოზიტორების ყველა თაობისათვის.

ჩემს ამოცანას არ შეადგენს ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების დეტალური შეფასება... ამაზე საკმაოდ თქმულა და დაწერილა (ი. ზურაბიშვილი, შ. ასლანიშვილი და სხვ.) და კვლავ ბევრს დაწერენ მუსიკოსები, სპეციალისტები... მე ამჟამად ვლაპარაკობ ზაქარია ფალიაშვილზე, როგორც მისი თანამედროვე, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა შეხვედროდა კომპოზიტორს თავისი ცხოვრებისა და სასცენო მოღვაწეობის გზაზე, ყოფილიყო მისი ეთერის პირველი შემსრულებელი, მასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით შეეთვისებინა ოპერის მუსიკალური ტექსტი და ზიარებოდა მის შემოქმედებას.

კარგად მახსოვს ოპერის სცენაზე „აბესალომ და ეთერის“ პირველი დადგმა, რამაც აღტაცება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში.

ყოველი საერთო სასცენო ვარჯიში, ყოველი რეპეტიცია გვიცხოველებდა პასუხისმგებლობას მომავალი ზეიმისათვის.

დასადგმელად მზადდებოდა პირველი ქართული ოპერა. ლამაზ ლეგენდაზე აგებული სიუჟეტი ეროვნული იყო, ლიტერატურული ტექსტის ავტორიც პეტრე მირიანაშვილი — ქართველი.

მთავარი პარტიების ყველა შემსრულებელი ქართველები იყვნენ.

ოპერის დამდგმელს რეჟისორ წუწუნავას უნდა აეძგერებინა ჩვენი და ყველა ქართველის გული!

გენერალური რეპეტიციის დღისათვის სულიერმა დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. მით უფრო, რომ ერთ-ერთი თავგამოდებული თაყვანისმცემელი და პროპაგანდისტი ამ ოპერისა — ჩვენი ქართველი სტასოვი — ილია ზურაბიშვილი გახლდათ, რომელიც რეპეტიციებს ესწრებოდა და პირველმა პირველთა შორის შეაფასა ამ ოპერის მშვენიერება, მისთვის ჩვეული ექსპანსიურობით ამ ოპერისადმი ინტერესს თესავდა ქართველი საზოგადოების ყველა წრეში, სადაც კი მისწვდებოდა, და დავას უმართავდა ყველა დაეჭვებულს.

ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ გენერალური რეპეტიციის დღისათვის ქართველი საზოგადოების სულიერმა აღძრამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ამ ზეიმის ყველა მონაწილე, ყოველი ჩვენგანი, ვისაც წილად გვხვდა პატივი და პასუხისმგებლობა ქართველი საზოგადოების ფართო ფენებში გაგვეტანა ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება, მისი პირმშო ქმნილება, რასაკვირველია, ყველაზე მეტად ვღელავდით...

...ამავე დროს თვით ავტორი არ ზოგავდა არც თავის ძალღონეს, არც დროს. და ეს გასაოცარი შრომისმოყვარე ადამიანი ყოველთვის მზად იყო ამა თუ იმ პარტიაზე სამუშაოდ, არა მარტო ოპერის წამყვანი პარტიების შემსრულებლებთან, არამედ გუნდის თვითეულ წევრთანაც კი.

ზაქარია ფალიაშვილმა იცოდა, რომ შრომა ასაზრდოებს ნიჭს, ვით საჭმელ-სასმელი ორგანიზმს.

იგი იყო განსაკუთრებით შრომისმოყვარე შემოქმედი, რომელიც ყველასათვის სახელმძღვანელო მაგალითი უნდა იყოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ფალიაშვილი თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი იყო. აი ერთი ფაქტი:

ეთერის არია პირველ სურათში თავდებოდა პირველი ოქტავის სოლნოტით.

ასეთი დასასრული, უმთავრესად ვოკალური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, შეუსაბამოდ მეჩვენებოდა. გავბედე და ვუთხარი ზაქარიას, — კაეშნურ გრძნობას უფრო მეტყველად და უფრო ბუნებრივად ქალის ხმა მაღალი თავისმიერი რეგისტრის გამჟღავნება ნოტით გაცილებით უკეთესად გადასცემს, ვიდრე საშუალო რეგისტრის ნოტით-მეთქი. ყურადღებით მომისმინა, იმ წამსვე როიალთან მივიდა და მთხოვა დამემთავრებინა არია ისე, როგორც მე ვგულისხმობდი. მერე მითხრა, ასე სჯობიაო, და იქვე შეიტანა შესწორება თავის პარტიტურაში.

ბევრი რამ შეიძლება გაიხსენოს ადამიანმა და ბევრი რამ ითქვას ქართული საოპერო ხელოვნების ამაგდარზე, მეტადრე იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც პირველმა წარმოდგენებმა მოახდინა საზოგადოებაზე. მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ინტერესი ოპერა „აბესალომ და ეთერისადმი“ დღითი დღე იზრდება.

ამ ოპერის პირველი წარმოდგენის შემდეგ ნათელი გახდა, რომ დაიბადა ქართული კლასიკური ოპერა. საფუძველი ჩაეყარა ქართულ აკადემიურ მუსიკას, რომ ზაქარია ფალიაშვილმა ხალხურ მუსიკაზე დამყარებით გამოძერწა ჰარმონიული, დახვეწილი და ეროვნული ნაწარმოები, რაც საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ იგი ყველა სხვა მუსიკისაგან — ეს იქნება რუსული თუ იტალიური, ფრანგული თუ სხვა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზაქარია ფალიაშვილმა მოიმოქმედა საქართველოსათვის ის, რაც თითქმის ასი წლის წინათ გააკეთა რუსეთისათვის გენიოსმა რუსმა კომპოზიტორმა გლინკამ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსული მუსიკის აღორძინებას და განვითარების მთელ პერიოდს...

...და აი ახლა, როდესაც აღვნიშნავთ მისი გარდაცვალების მეათე წლისთავს, გულისტკივილით ვამბობთ, რომ ასე უდროოდ წავიდა ის ჩვენგან.

რამდენი დიდი კომპოზიტორი, თუნდაც ევროპელთა შორის — როსინი, გუნო, ვერდი, ვაგნერი გარდაიცვალა მხოლოდ ღრმა მოხუცებულობაში. ვერდიმ თავისი „ოტელო“ შექმნა, როდესაც უკვე 75 წლისა იყო, ხოლო ვაგნერმა ოთხმოცი წლისამ დაწერა თავისი „პარსიფალი“. ზაქარია ფალიაშვილი კი დავკარგეთ მაშინ, როცა მისი სულიერი ძალა და შემოქმედებითი ენერგია გაფურჩქვნას განიცდიდა... მაგრამ ის, რაც ზაქარია ფალიაშვილმა მემკვიდრეობად დაუტოვა ქართველ ხალხს, რომელსაც მან შესწირა უკლებლივ თავისი ძალა, მგზნებარე სული და რომლის ხელოვნების საკურთხეველზეც მან აღმართა ორი სრულყოფილი ძეგლი — „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, საკმარისია იმისათვის, რომ მისი ხსოვნა ცოცხლობდეს იმ დრომდე, ვიდრე ქართველი ხალხისათვის მუსიკა იქნება წყარო სიხარულისა და ბედნიერებისა.

მართლაც, დიდი კომპოზიტორის სიკვდილის შემდეგ დაიწყო მისი მუსიკის უკვდავება...

ქართული ბიბლიოთეკა

შემოდგომა თბილისში

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ნაირ-ნაირი

◆

### „ბორჯომის“ ახალი ქარხანა

საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს „საქმინხილწყლების“ ტრესტის ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ახალი ქარხნის მშენებლობა 1965 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს.

უკვე დამონტაჟებულია 2.000 მანეთის ღირებულების მანქანა-დანადგარები. ქარხანას აშენებს № 12 სპეციალური მოძრავი მექანიზებული კოლონა (უფროსი ა. ნაზანდარაშვილი), სამუშაოებს ხელმძღვანელობს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი დ. ხიდაშელი.

ახალი საჩამომსხმელო ქარხანა ამუშავების შემდეგ პირველ ხანებში წლიურად 140 მილიონ, ხოლო შემდეგ 200 მილიონამდე ბოთლ „ბორჯომს“ გამოუშვებს. ამჟამად მოქმედი ქარხნის წარმადობა 120 მილიონი ბოთლია.

შ. აბრამიშვილი.

### „საქართველოს აგიტატორი“ № 21

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი ოცდამეერთე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: ი. ლელაშვილი — აგრონომი; ლენინი ტრიბუნაზე; ა. ციციაშვილი — ვ. ი. ლენინის სამი ნაშრომის გამოქვეყნების ისტორიული ვითარება; ქ. გურული — იდეური რწმენა შემოქმედებითი აქტივობის წყაროა; ი. მაიაშვილი — მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მშენებლებთან; ხ. ტაბიძე — ინფორმაცია დამაჯერებელი რომ იყოს; ზ. ქობალია — მშრომელთა საყვარელი ადგილი; ა. სოლოღაშვილი — საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლუბი; ლენინური დეკრეტი პრესის გავრცელების შესახებ; უნგრელი კომუნისტების მებრძოლი პარტია, საბერძნეთის კომუნისტური პარტია; ვ. ჯინჭარაძე — ბოლონიელი სოციალიზმის გზაზე; მ. ინწკირველი — რა არის მოგება? და სხვა მასალები.

## დაიხურა გამოფენა „თბილისი და თბილისელები“

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერიაში ერთ თვეს იყო გახსნილი დოკუმენტური და მხატვრული ფოტოგრაფიის გამოფენა „თბილისი და თბილისელები“. 70 ფოტოჟურნალისტისა და ფოტომოყვარულის 500-ზე მეტმა ნამუშევარმა მკაფიოდ წარმოუდგინა დამთვალიერებლებს საქართველოს დედაქალაქის, მისი ხალხის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების, სპორტსმენების, ქალაქის მშრომელთა ცხოვრება; გააცნო მათი სიხარული და საზრუნავი.

ამ დღეებში სურათების გალერეაში შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობისა და შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრები, ფოტოდოკუმენტალისტები, გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციების მუშაკები. გამოფენის დახურვისას საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა დ. მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ გამოფენა „თბილისი და თბილისელები“ დიდი წარმატებით სარგებლობდა. იგი 70 ათასზე მეტმა თბილისელმა დაათვალიერა.

გამოფენის დახურვაზე გამოაცხადეს საუკეთესო ფოტოსურათების ავტორთა სახელები, რომელსაც მიენიჭათ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემიები და წახალისებელი დიპლომები. ამხ. დ. მჭედლიშვილმა მიულოცა დაჯილდოებულთ შემოქმედებითი წარმატება.

პირველი პრემია — ოქროს მედალი და ფოტოაპარატი „სალუტი“ მიენიჭა ჟურნალ „დროშის“ ფოტოკორესპონდენტს ო. თურქიას ს. ჩიქოვანის პორტრეტების სერიისათვის და ფოტოპორტრეტისათვის „რედაქტორი“.

მეორე პრემიები — ვერცხლის მედლები და ჟურნალისტთა ვარნის (ბულგარეთი) საერთაშორისო დასასვენებელი სახლის საგზურები დაიმსახურეს ახალი ამბების სააგენტოს ფოტოკორესპონდენტმა ე. პესოვმა ნამუშევრებისათვის „ლეილა“ და „უბედურება“ და საქძესის ფოტოკორესპონდენტმა გ. დადვაძემ ნამუშევრებისათვის „არქეოლოგი“ და „ონავარი“.

მესამე პრემიები — ბრინჯაოს მედლებითა და „ზენიტ-ე“ ფოტოაპარატებით დაჯილდოვდნენ ა. საკოვი ფოტოპორტრეტისათვის „მეფოლადე“, ს. მამასახლისი ნამუშევრებისათვის „ვედრება“, „ქუჩა“, „ფრონტელი“, დ. დავიდოვი პორტრეტების სერიისათვის და ს. კილაძე ფოტონამუშევრებისათვის „მახარობი“, „ცნობისმოყვარეობა“ და „უცნაური ფოტოსურათების სერიისათვის.

წახალისებელი დიპლომები აღინიშნა ფოტოოსტატების რ. აკოფოვის, ა. გალაზუევის, ვ. ჯეირანოვის, მ. კვირიკაშვილის, გ. კაველაშვილის, გ. რაზმაძის, გ. კიკვაძის, ვ. კიკნაძის, ი. შაინინის, ს. შანტურიას ნამუშევრები.

გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზი მიიღო ფოტომოყვარულმა ნ. ველიაშვილმა. (საქძესი).

### მ. ორაგველიძე — როვნოს საპატიო მოქალაქე

მახარაძე. (საქ. კორ.). როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამას წინათ მახარაძელთა დელეგაცია იმყოფებოდა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონში და მონაწილეობა მიიღო ორი მოძმე რაიონის სოციალისტური შეჯიბრებისა და მეგობრობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. დელეგაციაში სხვებთან ერთად იმყოფებოდა ამ შეჯიბრების ინიციატორი — სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ორაგველიძე. იგი დიდი სიყვარულითა და სითბოთი მიიღეს სოფელ როვნოს მშრომელებმა. ხალხმრავალ მიტინგზე წაიკითხეს როვნოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება, რომ მ. ორაგველიძე არჩეულია უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოს საპატიო მოქალაქედ.

## მესხეთის თეატრის მეორე სეზონი

თითქმის ორი თვეა, რაც მესხეთის სახელმწიფო თეატრმა დაიწყო თავისი მეორე სეზონი.

მხოლოდ ერთი წელია, რაც ეს თეატრი ჩამოყალიბდა. ერთ სეზონში სრულიად ახალგაზრდა თეატრმა მესხეთის მკვიდრთა დიდი სიყვარული მოიპოვა. ახალციხის თეატრს მართებულად დაერქვა მესხეთის თეატრი. გასულ სეზონში გამართული მრავალი სპექტაკლიდან ნახევარზე მეტი გასვლითი იყო ასპინძასა და ადიგენში, მესხეთის ქალაქ ვალესა და მესხეთის თითქმის ყველა კუთხეში.

თეატრმა გასულ სეზონში 10 პრემიერა უჩვენა მაყურებელს. წარმოდგენებმა — თ. ჩხეიძის „თედორემ“, ჰიუგოს „მარიამ ტიუდორმა“ და სხვა სპექტაკლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რესპუბლიკურმა პრესამ კარგი შეფასება მისცა აღნიშნულ დადგმებს. „თედორე“ დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ახალგაზრდა ნიჭიერმა ხელოვანმა ნანა დემეტრაშვილმა. „მარიამ ტიუდორის“ დადგმა კი განახორციელა დ. ცისკარიშვილმა, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში აღზრდილმა რეჟისორმა. მოწონება ხვდა აგრეთვე თეატრის პირველი სეზონის ბოლო პრემიერებს (გ. ბერიაშვილის პიესას „მეხდაცემული კაკალი“ და ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“).

გ. ბერიაშვილის პიესის დამდგმელად თეატრმა მოიწვია რეჟისორი გ. მაცხონაშვილი, რომელმაც სპექტაკლის განხორციელების შემდეგ სურვილი გამოთქვა თეატრში დარჩენილიყო და ახალგაზრდა მსახიობებთან ემუშავნა. ა. ცაგარლის კომედია კი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, თეატრის დირექტორმა მ. მემარიაშვილმა. საერთოდ ა. ცაგარლის ამ ჩინებულ ნაწარმოებში აქტიორს დიდი შემოქმედებითი ასპარეზი ეხსნება, აქ ხომ ბევრი საინტერესო და დახვეწილი დრამატურგიული სახეა. მთელი ახალგაზრდული კოლექტივის სახელად უნდა ითქვას, რომ ეს რთული ამოცანა კარგად დაძლია. მოწონება ხვდათ ს. ბაკურაძის (გიქუა), პ. ქადაგიშვილის (ავეტიკა), გ. პატარიძის (ტასია), გ. კოხრეიძის (კოხტა), თ. ჩერქეზიშვილის (კატინა), ნ. შამახიძის (თავადი) და სხვათა მიერ შესრულებულ როლებს.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ თეატრის ხელმძღვანელობა ახალი, მეორე სეზონისათვის მზადებას გასულ სეზონშივე შეუდგა. შეარჩიეს რეპერტუარი — ა. აბშილავას „მარუხის ტრაგედია“, რომელიც მიეძღვნა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს, ნ. კიკვაძის „იდუმალა“ (იდუმალა მესხეთის ერთ-ერთი სოფლის სახელია), ე. ყიფიანის „კაენის ცოდვა“, შილერის „ყაჩაღები“ და სხვ. „ყაჩაღებზე“ მუშაობა რეჟისორმა ნ. დემეტრაშვილმა ჯერ კიდევ გასულ თეატრალურ სეზონში დაიწყო. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე იწვია ახალგაზრდა კოლეგებს, თავისი დიდი აქტიორული და რეჟისორული გამოცდილება გაუზიარა აღნიშნულ პიესაზე მომუშავე შემოქმედებითს კოლექტივს, წაიკითხა ფრანცის მონოლოგები. ეს ფაქტი მრავლისმეტყველია. გამოჩენილი მსახიობის ასეთი დაინტერესება მანიშნებელია, რომ მესხეთის თეატრის სუნთქვა ქართველი თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღების არეშია. ამის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ ახალციხის რაიონის ხელმძღვანელობა დაუღალავად ზრუნავს ახალშობილ თეატრზე.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ეს ახალგაზრდული კოლექტივი თავის მეორე სეზონში ახალ შემოქმედებითს წარმატებებს მოიპოვებს.

შ. ნარსია,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

### სასამართლოს დარბაზიდან

## ბრაკონიერს ლუკმა ჩაუმწარდა

დუშეთი. (საქ. კორ.). ახმეტის რაიონის სოფელ შახვეტილაში მცხოვრებმა ლ. უძილაურმა მეუღლე არაგვის ხეობაში წაიყვანა დასასვენებლად და სამკურნალოდ. გზაში ცოლ-ქმარს სულ ბუნების სილამაზეზე ჰქონდათ საუბარი, გაიხსენეს დიდი მგოსანი ვაჟა-ფშაველა:

— მაინც რა პოეტი გვყავდა, დედაკაცო, როგორ უყვარდა ბუნება და ებრალებოდა თვითეული ხე და ბუჩქი, თუმცა აქაური ხალადებისა, ტყეებისა და მდინარეების მაყურებელი კაცი, პოეტი გახდება მა რა... აბა გახედე, როგორ რძესავით იღვრება ჩარგლურა, ამბობენ მანდ ბევრი კალმახი იცისო. — ამბობდა ლაზარე და თან ბეჭებზე მოგდებულ გუდას მალიმალ შეისწორებდა ხოლმე.

— რა მოგივიდა, კაცო, ყოველ წუთს მაგ გუდას რო ეძგერები? — ეკითხებოდა ცოლი, მაგრამ ლაზარე მეუღლესაც არ უმხელდა, რომ იმ გუდაში ქლორი ეყარა, რომლითაც მდინარე ჩარგლურას მოწამვლა ჰქონდა განზრახული.

ეს დროც დადგა, მეუღლე ვაჟას წყაროსთან რომ დააბინავა, თვითონ ლაზარე მგელივით ბუჩქნარში გაძვრა, — მალე დავბრუნდებიო, — დაიძახა და მდინარის ნაპირს აუყვა ქურდის ნაბიჯით. კარგა ხანს იარა, მიიხედ-მოიხედა და საეჭვო რომ ვერაფერი დაინახა, გუდა მოიხსნა. იმ წუთში მას აღარ ახსოვდა არც ვაჟა და არც ბუნების შვილთა სიბრალული, ერთხელ კიდევ თვალი მოავლო მიდამოს და მომწამვლელი ფხვნილი ერთბაშად წყალში ჩაყარა, მალე ამღვრეულმა ტალღებმა დახოცილი თევზი ამოყარეს. სიხარულისაგან დაბრმავებული კაცი სწრაფად კრეფდა ფორაჯიან კალმახს. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი სიხარული, მაღაროსკარის სატყეო მეურნეობის ტყისმცველმა გიორგი ბაჩიაშვილმა ბოროტმოქმედს დანაშაულზე წაასწრო. ლ. უძილაური შეეცადა თავის დაძვრენას, მაგრამ ამაოდ.

დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ა. გოთენაშვილის თავმჯდომარეობით, ღია სამსჯავრო სხდომაზე განიხილა ბოროტი ბრაკონიერის ლ. უძილაურის საქმე და ჩადენილი დანაშაულისათვის სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ა. თომაძე.

## ავტომშენებელთა სანატორიუმი

ქუთაისი. (საქ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, რომელიც მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში შვიდასამდე ავტომშენებელს მოემსახურა.

სხვა სამკურნალო კაბინეტებთან ერთად აქ მოეწყო ახტალის ტალახით მკურნალობის სპეციალური კაბინეტი. სანატორიუმში ერთდროულად ისვენებს და მკურნალობს 50 კაცი.

ქარხნის სანატორიუმ-პროფილაქტორიუმს თავისი ფილიალი აქვს კურორტ ქობულეთში, სადაც წელს პროფკავშირული საგზურებით 150 კაცმა დაისვენა.

## სპორტი

### გ. გავაშელის ხუთი გოლი

„დინამო“ (თბილისი) — „კრილია სოვეტოვ“ (კუიბიშევი) 7:2 (2:0). თბილისი. 12 ნოემბერი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

„დინამო“ — ურუშაძე (გოგია), პეტრიაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, ასათიანი, ილიადი (კუტივაძე), სიჭინავა, გავაშელი, ნოდია, მესხი;

„კრილია სოვეტოვ“ — ავურეევი, ბობილევი, სახაროვი, მაიოროვი, ვალკოვი, მარტინოვი, პეტროვი, კორსუნოვი (ჩუვაევი), კაზაკოვი, კრაკოვეცკი, არიაპოვი.

დინამოელებს კარგა ხანია ასე არ გაუხარებიათ თავიანთი თაყვანისმცემლები. საქმე ის როდია, რომ მათ მოიგეს მატჩი და ისიც სარეკორდო ანგარიშით — 7:2, არამედ ის, რომ ამ დღეს გუნდის ყველა ხაზი, რგოლი მოქმედებდა მთელი დატვირთვით, ჩინებული ურთიერთგაგებით, ჭეშმარიტად შემტევი სტილით. რა თქმა უნდა, აქ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თითქოს „კრილია სოვეტოვი“ ვერ იყო მისთვის დამახასიათებელ ფორმაში. კუიბიშეველებს თითქმის არაფერი შეუცვლიათ ბრძოლის მანერაში, კვლავაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ მასირებულ დაცვას, მაგრამ ქარიშხლისებურმა იერიშებმა აღიარებულ „კუიბიშევურ ბეტონში“ ბზარი შეიტანა, შემდეგ კი დაამსხვრია იგი.

დიახ, ნამდვილი ქარიშხალი იდგა სტუმართა კართან. დინამოელთა იერიშს იერიში მოსდევდა და ამ ერთერთი მათგანი მე-4 წუთზე გოლით დაგვირგვინდა. მისი ავტორი იყო გავაშელი, რომელსაც აქამდე 15 ბურთი ჰქონდა გატანილი. ბუნებრივია, წლევანდელი ჩემპიონატის ბომბარდირთა წარმომადგენელს გავაშელს ძალზე სწყუროდა დასწეროდა ლიდერებს — სტრელცოვსა და აბდურაიმოვს. მაგრამ ერთ მატჩში ოთხი ბურთის გატანა პრაქტიკულად ძნელი იყო და არც მაყურებლები მოელოდნენ ამას თბილისელი ფორვარდისაგან. მაგრამ მოხდა სასიამოვნო სიურპრიზი — გავაშელმა არა ოთხი, არამედ დათუნაშვილის მსგავსად ხუთი ბურთი გაიტანა და ერთი გოლით გაუსწრო ლიდერებს. იგი ამ მატჩის ნამდვილი გმირი იყო. მოგვიანებით ჩვენ შევიტყვეთ, რომ გუშინ სტრელცოვმაც და აბდურაიმოვმაც თითო ბურთი გაიტანეს. ახლა ეს ტრიო 20-20 გოლის ავტორია.

მეორე ბურთი მასპინძლებმა 10 წუთის შემდეგ გაიტანეს. მარჯვენა ფრთიდან კარგად გათამაშებული კომბინაცია ეფექტურად დააგვირგვინა ნოდიამ. ანგარიში 2:0 თბილისელებმა პირველ ტაიმში შეინარჩუნეს.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე კიდევ ერთი ბურთით გაზარდა ანგარიში გავაშელმა, ხოლო 53-ე წუთზე მარტინოვის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა ასათიანს და რიკოშეტით კუიბიშეველთა კარში აღმოჩნდა. და, ბოლოს, მე-60, 71-ე და 86-ე წუთებზე გავაშელმა სამჯერ აიღო მეტოქის კარი.

დინამოელთა შვიდ გოლს სტუმრებმა ორი ბურთით უპასუხეს, მათ შორის ერთი პენალტით.

ვ. გაბელია.

□ □

### გუშინ ფეხბურთის მოედნებზე

დედაქალაქის სპარტაკელები ალმა-ატას ეწვივნენ და აქ პაექრობა ჰქონდათ ადგილობრივ „კაირატთან“. წარმატება სპარტაკელებს ხვდათ 2:1.

დონეცკის „შახტიორმა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა თამაში ფრედ (0:0) დაამთავრეს.

ამ დღეს ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელმა მოსკოვის „ტორპედომაც“ ფრედ (1:1) ითამაშა ერევნის „არარატთან“.

ბაქოში „ნეფტჩისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 2:1.

მატჩი დონის როსტოვში არმიის სასპორტო კლუბის გუნდსა და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის მოიგეს დონის როსტოველებმა 4:0.

ტაშკენტში ერთმანეთს შეხვდნენ „პახტაკორი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“. მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

უკანასკნელი მატჩი კიროვაბადის დინამოელებს საკუთარ მოედანზე ჰქონდათ მინსკელ თანაკლუბელებთან და კვლავ დამარცხდნენ 0:3.

### გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 13 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კ.) | 38 | 21 | 15 | 2 | 58-25 | 57 |
| „სპარტაკი“ | 37 | 21 | 9 | 7 | 62-41 | 51 |
| ცსკა | 38 | 20 | 10 | 8 | 50-30 | 50 |
| „ტორპედო“ (მ.) | 37 | 18 | 13 | 6 | 58-30 | 49 |
| „დინამო“ (მ.) | 38 | 19 | 9 | 10 | 58-32 | 47 |
| „დინამო“ (მნ.) | 37 | 17 | 11 | 9 | 50-34 | 45 |
| „დინამო“ (თბ.) | 37 | 16 | 12 | 9 | 51-27 | 44 |
| „ნეფტჩი“ | 38 | 13 | 12 | 13 | 42-48 | 38 |
| „ჩერნომორეცი“ | 37 | 11 | 15 | 11 | 45-47 | 37 |
| „ლოკომოტივი“ | 38 | 10 | 17 | 11 | 35-39 | 37 |
| „ზენიტი“ | 38 | 10 | 14 | 14 | 35-49 | 34 |
| სკა | 38 | 11 | 11 | 16 | 44-48 | 33 |
| „ზარია“ | 38 | 10 | 13 | 15 | 28-41 | 33 |
| „შახტიორი“ | 38 | 9 | 14 | 15 | 38-42 | 32 |
| „კაირატი“ | 38 | 12 | 8 | 18 | 33-42 | 32 |
| „არარატი“ | 38 | 11 | 9 | 18 | 34-46 | 31 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 38 | 9 | 11 | 18 | 24-45 | 29 |
| „პახტაკორი“ | 37 | 9 | 10 | 18 | 40-59 | 28 |
| „ტორპედო“ (ქ.) | 38 | 9 | 10 | 19 | 27-48 | 28 |
| „დინამო“ (კირ.) | 38 | 5 | 9 | 24 | 25-59 | 19 |

### ერთადერთი საგზურისათვის

მართალია, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების ასპარეზობა ქვეჯგუფებში, მაგრამ გამარჯვებულნი უკვე ცნობილი არიან. ესენი არიან ლვოვის „კარპატი“, ნიკოლაევის „სუდოსტროიტელი“, სვერდლოვსკის „ურალმაში“ და ომსკის „ირტიში“.

მალე ფეხბურთელთა ეს გუნდები თავს მოიყრიან სოჭში და აქ გადამწყვეტი შეხვედრები ექნებათ უმაღლესი ლიგის ერთადერთი საგზურისათვის. პირველ ტურში, რომელიც 17 ნოემბერს შედგება, ერთმანეთს შეხვდებიან „კარპატი“ — „სუდოსტროიტელი“ და „ურალმაში“ — „ირტიში“. მეორე ტურის მატჩები შედგება 20 ნოემბერს, მესამე ტურისა — 23 ნოემბერს.

### ფინალებში გამარჯვებული

ბელგრადში დამთავრდა იუგოსლავიის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში.

დიდი წარმატება ხვდა ჩვენს მაგიდის ჩოგბურთელს ზოია რუდნოვას. იგი ორჯერ ავიდა გამარჯვების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ჯერ მოსკოველ სტანისლავ გომოზკოვთან ერთად შერეულ წყვილთა ფინალში დაამარცხა ინტერნაციონალური წყვილი დ. ხოვეშტადტი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და ა. ამელინი (სსრ კავშირი) 21:9, 21:15, 21:16, შემდეგ კი ქალთა წყვილებში შვედ მ. ნეიდერტთან ერთად მოუგო რუმინეთის ძლიერ წყვილს მ. ალექსანდრუსა და ე. მიხალკუს.

საქართველოს პროფსაბჭო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყებიან განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის

**ლუკა იოსების-ძე მაღლაფერიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

### ლ. ი. მაღლაფერიძის დამკრძალავი კომისიისაგან

ლ. ი. მაღლაფერიძის სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 13, 14 და 15 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე (ჭავჭავაძის პროსპექტი № 70).

შაბათს, 16 ნოემბერს, პანაშვიდი შედგება დღის 2 საათზე მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) გამოსვენება 3 საათზე.

## რა ვნახოთ. რა მოვისმინოთ

### რადიო

14 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — საცეკვაო მუსიკა მ. დავითაშვილის, ვ. გოკიელისა და კ. მეღვინეთუხუცესის ოპერებიდან, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — ბეთჰოვენი, მესამე სიმებიანი კვარტეტი, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — ლ. იაშვილი. სიმღერები, 12.10 — საუბარი „ანტიკომუნიზმის გაბოროტებული რუპორი“, 12.25 — ბალაკირევი. საფორტეპიანო კონცერტი, 13.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — მაიბოროდა. ნაწყვეტები ოპერა „მილანადან“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — შ. თაქთაქიშვილი. კამერული ნაწარმოებები, 17.35 — მოსწავლეთათვის ნარკვევი „სადაც თერგი რბის...“ 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — საბჩანოვი. საცეკვაო-სიმფონიური სიუიტა, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი, ციკლი „ფილოსოფია“. საუბარი „მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები“, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — გ. ჩუბინიშვილი. რომანსები, 20.20 — საერთაშორისო კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — პუჩინი ოპერა „ბოჰემა“, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — საესტრადო კონცერტი 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### თეატრები

13 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჯორჯე მარიანოვიჩი და „ცისფერი ანსამბლი“, რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ანტიგონე, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მთვარის მოტაცება, რუსთავის სახელმწიფო დრამატული — კახაბერის ხმალი (მე-15 აბონ. მე-8 წარმოდგენა), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ნუ გეჩქარებათ სიცილი (№ 52 აბონ. საღ. 6 ს.) თოჯინების ქართული — წითელქანიანთა ბელადი (დასაწყისი დღის 1 და 4 ს.).

### ტელევიზია

13 ნოემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — მხატვრული ფილმი „მეშვიდე თანამგზავრი“, 12.45 — „შენთვის, ახალგაზრდობავ!“ (გადმოცემა სვერდლოვსკიდან), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — გადაცემა ბავშვებისათვის „ჯადოსნური საღებავი“, 19.20 — სპორტული პროგრამა „ათლეტიზმი“ — სატელევიზიო კლუბი, 19.40 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“ საუბარი — „თესლბრუნვის სიკეთე“, 20.00 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამის კინოდარბაზი — „სალთან მეფის ზღაპარი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.55 — დოკუმენტური ფილმი „თუ გიყვარს შენი სახლი“.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 საათიდან.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04326 საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.